პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი | № 115 (13807) | ხუთშაბათი, 18 მაისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

კომუნისტები და ხელოვნება

ПРАВДА

17 მაისის მოწინავე

ახლა ყველასათვის უდავოა ის ფაქტი, რომ სოციალისტური რეალიზმი დიდი ნაბიჯი იყო კაცობრიობის მხატვრული განვითარების გზაზე, დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო XX საუკუნის ხელოვნებაში. სოციალიზმის მშენებლობის, სოციალისტური რეალიზმის იდეური და შემოქმედებითი პოზიციების განმტკიცების, მისი მხატვრული დავალებების მსვლელობაში საბჭოთა ხელოვნება გადაიქცა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრ საშუალებად. ყოველივე მოწინავის, კომუნისტურის დამკვიდრების პოზიციებიან სინამდვილის ნამდვილად მხატვრული, სიმართლით ასახვა გამარეოლუციონერებელ გავლენას ახდენს ადამიანზე — სწორედ ეს არის ჩვენი ხელოვნების, მილიონობით ადამიანზე მისი გავლენის უდიდესი შემოქმედების ძალა.

სოციალისტური ხელოვნება თავის ჩამოყალიბებას უნდა უმადლოდეს იმავე სოციალურ ძალებს, რომლებიც ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნის ავანგარდში არიან. ესენი არიან კომუნისტები რწმენით და ხელოვანნი ნიჭით. მათთვის ბრძოლა მუშათა კლასის, ხალხის საქმისათვის მუდამ იყო ცხოვრების აზრი. კომუნისტებს შთააგონებს პარტიის კეთილშობილური იდეები, მისი რევოლუციური პრაქტიკა. ასეთი ხელოვანები ემსახურებიან კომუნიზმს გულწრფელად, არ პირფერობენ და არ ცრუობენ, რაც დამახასიათებელია ბევრი ბურჟუაზიული იდეოლოგისათვის, რომლებიც იცავენ კაპიტალისტთა კლასის ინტერესებს, მაგრამ ვერ ბედავენ აღიარონ ეს.

კომუნისტები იმთავითვე ნოვატორები იყვნენ ხელოვნებაში. ისინი გახდნენ მისი აქტიური მძიებელი რაზმი. სწორედ ეს არის მათი შემოქმედებითი თავისუფლების უმაღლესი აზრი: მათ მოახმარეს სიცოცხლე ეპოქის ყველაზე დიადი სოციალური პროცესის — სოციალისტური რევოლუციის, კომუნიზმის მშენებლობის სამსახურს. სოციალისტური რეალიზმი პირველად წარმოიშვა ჩვენი ქვეყნის ლიტერატურაში, რომელიც აღიარა მსოფლიოს მთელმა პროგრესულმა საზოგადოებრიობამ და ახლა ახალი შემოქმედებითი მიღწევებით ეგებება საბჭოთა მწერლების IV ყრილობას.

ვ. ი. ლენინმა დასახა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისადმი გამიზნული და მეცნიერულად დასაბუთებული პარტიული ხელმძღვანელობის ამოცანა, — ისეთი ხელმძღვანელობისა, რომელიც პოლიტიკური მიზნების მიღწევას საფუძვლად უდებს მხატვრული შემოქმედების სპეციფიკის გაგებას. მან აღნიშნა, რომ რევოლუციურმა ავანგარდმა უნდა ჩამოაყალიბოს მხატვრული განვითარების შედეგები მილიონობით მშრომელის ინტერესებისათვის.

დიდი ოქტომბრის შემდეგ კულტურის მიღწევები ხალხის კუთვნილება გახდა და შემოქმედებითი ინტელიგენციის ურთიერთობა კომუნისტურ პარტიასთან გაღრმავდა. ახლა, როცა ახლოვდება საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავი, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს გავიხსენოთ, თუ რა უსაზღვრო სიყვარულითა და ზრუნვით ეკიდებოდა ჭეშმარიტად მაღალ ხელოვნებას ვ. ი. ლენინი, რომელსაც ურყევად სწამდა, რომ ხალხისათვის გასაგები ხელოვნება კომუნიზმს ემსახურება.

ჩვენი პარტია მტკიცედ ასრულებს ლენინურ ტრადიციებს, მზრუნველად უჭერს მხარს ყოველ ნამდვილ ტალანტს ხელოვნებაში, რომელიც შეესაბამება ხალხის სულიერ მოთხოვნილებებს, ახალი სამყაროს მშენებლობის ინტერესებს. ამავე დროს პარტია გულახდილად ამხილებს ნაკლოვანებებს საბჭოთა კულტურის ოტკატების საქმიანობაში, ზრუნავს მათი იდეური აღზრდისათვის.

პარტიული ორგანიზაციები მუდამ იყვნენ ცენტრები, რომლებიც აერთიანებენ და წარმართავენ შემოქმედებითი ინტელიგენციის ნიჭიერ ძალებს. განსაკუთრებით დიდია მათი როლი შემოქმედებით კავშირებში, ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში, ხელოვნების სახელმწიფო დაწესებულებებში. კომუნისტთა რიგებს განუწყვეტლივ ემატება კულტურის ნიჭიერი და ავტორიტეტული ოსტატები. კომუნისტი ხელოვანი ძალღონეს არ იშურებს საკუთარი პროფესიული ოსტატობის შემდგომი განვითარებისათვის, ახალი გზების ძიებისათვის ჩვენი დროის მაღალმხატვრული სახეების შექმნაში, რომლებიც ხორცს ასხამენ პარტიისა და ხალხის ბრძოლის ნახევარი საუკუნის გამოცდილებას ახალი წყობილების გამარჯვებისათვის. ამის შესახებ ახლახან „პრავდაში“ დაბეჭდილი იყო ლიტვის სსრ და მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობის მაგალითი.

სანდერეხოდ და ნოფიერად მუშაობენ ლატვიის მწერალთა კავშირის კომუნისტები. აქ სისტემატურად ეწყობა დისკუსიები, იხილვენ მხატვრული შემოქმედების საჭიროროტო საკითხებს. გაიმართა ღია პარტიული კრება, რომლის დღის წესრიგში იყო „მწერალი და ცხოვრება“. მეორე კრებაზე განიხილეს თანამედროვე ლატვიური პროზის ტენდენციები. შემოქმედებითი საკითხებია რესპუბლიკის მხატვართა კავშირისა და კომპოზიტორთა კავშირის კომუნისტთა ყურადღების ცენტრში.

ნაყოფიერად მუშაობენ ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირებისა და ხელოვნების დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციები. მაგრამ ბევრი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა, რომლებიც შემოქმედებითს მუშაკებს აერთიანებენ, ყოველთვის სავსებით როდი შეესაბამება დღევანდელობის მაღალ მოთხოვნებს. ისინი არ იჩენენ აქტივობას, სუსტად ეყრდნობიან კულტურის ნიჭიერ და ავტორიტეტულ ოსტატებს. კომუნისტებს ხშირად მხედველობიდან რჩებათ აქტუალური შემოქმედებითი პრობლემები, რომლებიც კოლექტივებს აწუხებთ, ყოველთვის პრინციპულად როდი აფასებენ ნაკლოვანებებს თავიანთი კოლეგების ნაწარმოებებში.

დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ თითოეული ხელოვანი მუდამ გრძნობდეს პარტიული ორგანიზაციის გულწრფელ ინტერესს მისი შემოქმედებისადმი, იმას, რომ გამორიცხული იყოს როგორც ადმინისტრირების ცდები, ისევე გულგრილობა ხელოვანის საქმიანობისადმი. კომუნისტთა ყველა შემოქმედებითი კოლექტივისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს კეთილმოსურნეობის, ხელოვნების ყოველი ნაწარმოების ბედისადმი, მისი იდეურ-მხატვრული ღირებულებისადმი დიდი მომთხოვნელობისა და პარტიული პასუხისმგებლობის ვითარება. ასეთი ატმოსფეროს შექმნისათვის უწინარეს ყოვლისა პარტიული კომიტეტები უნდა ზრუნავდნენ.

ტალანტისადმი ყურადღებიანი და გულისხმიერი დამოკიდებულების ლენინური ტრადიცია, გულმოდგინე, ტაქტიანი მუშაობის უნარი შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან, დაუცხრომელი ზრუნვა მხატვრული ინტელიგენციის იდეურ-თეორიული წრთობისათვის — ეი რა სპირდება თითოეული პარტიულ ორგანიზაციას. ნიჭი კი თავის მხრივ უწინარეს ყოვლისა ჩნდება მაღალმხატვრულ იდეურად მომზიფებულ ნაწარმოებებში, რაც განუყრელად დაკავშირებულია ხელოვანის ღრმა რწმენასთან, პარტიულობასთან და პატიოსნებასთან.

კომუნისტი ხელოვნებაში გამოხატავს ყოველივე ახალსა და რევოლუციურს ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის, მომთხოვნელობისა და სოზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის მაგალითია. კომუნისტური პარტიის იდეები, გმირული მიღწევები ჩვენი ხალხისა, რომელმაც სოციალისტური სახელმწიფოს ნახევარი საუკუნის განმავლობაში განვლო დიდი და ძლევამოსილი გზა, მისი ბრძოლა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საბჭოთა ხელოვანთ ალფრთოვანებს ახალი თვალსაჩინო ნაწარმოებების შექმნილად კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის.

საოქტომბრო კითხვა

17 მაისს თბილისში დაიწყო საოქტომბრო კითხვა, რომელიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. ამ ღონისძიებით, რომელსაც საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაცია აწყობენ, გათვალისწინებულია პოლიტიკური მოხსენებანი ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების, საბჭოთა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის აყვავების შესახებ.

საოქტომბრო კითხვა დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. მჟავანაძის მოხსენებით „ოქტომბრის რევოლუცია და საქართველო“.

მოხსენება, რომელიც ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში ქალაქ თბილისის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო აქტივის, თბილისის გარნიზონის მეომრების წარმომადგენელთა წინაშე, დიდი ყურადღებით მოისმინეს.

(საქდესი).

საიუბილეო ვასტზე

შეჯიბრების მედროშენი

ამიერკავკასიის რკინიგზის მრავალათასიანი კოლექტივი ბეჯითად იბრძვის ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. მეგობრობის მაგისტრალის საწარმოებსა და ორგანიზაციებში დღითი დღე ფართოვდება პატრიოტული შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

ამას წინათ სსრ კავშირის გზათა სამინისტრომ და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა შეაჯამეს რკინიგზელთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების საიუბილეო, 1967 წლის პირველი კვარტალის შედეგები. გამარჯვებულთა შორის არიან ამიერკავკასიის მაგისტრალის მთელი რიგი მოწინავე კოლექტივები.

დიდ წარმატებას მიაღწია რკინიგზის სამტრედიის განყოფილების კოლექტივმა. სამტრედიელმა რკინიგზელებმა მოიპოვეს სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭათ ავრეთვე ხაჩმასის სალიანდაგო დისტანციის, ბაქოს სიგნალიზაციისა და კავშირის დისტანციის, ბაქოს ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივებს.

მეორე ფულადი პრემიები მიენიჭათ სამტრედიის სადგურისა და ბაქოს სამგზავრო სადგურის, ბალაჯარის სავაგონო დეპოს კოლექტივებს.

მესამე ფულადი პრემია მიიღეს რუსთაველის სადგურისა და თბილისის სამგზავრო სადგურის, ხაშურის ენერგომომარაგების უბნის კოლექტივებმა. (საქდესი).

შრომითი ნოგათი

მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა, ლენინგორის რაიონის მხვნელ-მთესველებმა თავდადებით იშრომეს და 15 მაისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმები. რაიონში თესვის დავალება განაღდებულია 101 პროცენტით. თესვა გრძელდება, — აცნობეს „კომუნისტის“ რედაქციას პარტიის ლენინგორის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. მარგიევმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. დურგლიშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ზ. კოზაევმა.

მოწინავენი

მცხეთა. (საკ. კორ.). პირნათლად ასრულებს სოციალისტურ ვალდებულებებს სამრეწველო კომბინატის მცხეთის აგურის საამქროს კოლექტივი. გამოშვებულია 890 ათასი ცალი წითელი აგური. მიმდინარე წლის ოთხი თვის საწარმო დავალება შესრულებულია 110 პროცენტით.

მეგობრობით გაცისკროვნებული

• კეთილი იყოს თქვენი მოგზრაობა, კვირფასო მოსკოველებო!

კეთილი ტრადიცია

„კომუნისტის“ მკითხველებს ესაუბრება პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ალა შაპოშნიკოვა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ღირსშესანიშნავი 50 წლისთავის დღესასწაულისათვის კაყოველთაო-სახალხო მზადების დღეებში კაშკაშა შუქით იქნება გაცისკროვნებული ის ღონისძიებანი, რომლებიც თბილისსა და მოსკოვში განხორციელდება. მე ვლაპარაკობ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეებზე თბილისში და საქართველოს დღეებზე მოსკოვში, რომლებიც 7 ივნისს დაიწყება.

დიდი ხნის კეთილი მეგობრობა აკავშირებს მოსკოველებს საქართველოს ხალხთან და, კერძოდ, თბილისელებთან. მეგობრობის ეს კავშირი არაჩვეულებრივად მტკიცე და განუყრელია. მოსკოველები მუდამ უდიდესი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს სოციალისტური საქართველოს წარმატებებს. ქართული კულტურის მოღვაწეები მოსკოველთა მუდამ სასურველი სტუმრები იყვნენ.

ჩვენ გვახსოვს, რა დიდი წარმატებით ჩაიარა ორი წლის წინათ ფ. იაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის გამოსვლებმა კრემლის ყრილობათა სასახლის სცენაზე.

გასული წლის შემოდგომაზე მთელმა მოსკოვმა ზეიმით აღნიშნა „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავი ავტორის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი. იმ დღეებში ბევრი მოსკოველი დაესწრო შოთა რუსთაველის ძეგლის გახსნას გრუზინსკაია ქუჩის ერთ-ერთ მოედანზე.

საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებთათვის ალბათ ცნობილია პროგრამა, რომლითაც გამოვლენ მოსკოველთა და თბილისელთა ძმობის დღეები თბილისში გატარებული დონისძიებებით როდი შეიზღუდება. მოსკოველები მალე კვლავ შეხვდებიან თბილისელებს, მაგრამ ამჯერად უკვე მოსკოვის ტერიტორიაზე, სადაც მოეწყობა საქართველოს დღეები.

7 ივნისს ეს დღეები გაიხსნება კრემლის თეატრში, შემდეგ სამ დღეს „საქართველოს დღეები“ გაიმართება სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. შემდეგ მოსკოველები საქართველოს კულტურის მოღვაწეებს შეხვდებიან სხვადასხვა საკონცერტო დარბაზსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში.

ეროვნულ კულტურათა ასეთი ურთიერთ გაზიარება, უეჭველია, ხელს შეუწყობს ჩვენი ორი ხალხის კიდევ უფრო მტკიცე მეგობრობასა და ძმობას.

თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების წარმატებით ჩასატარებლად პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ნ. გ. ეგორიჩევის ხელმძღვანელობით.

შტაბმა გამართა რამდენიმე სხდომა, რომლებზეც განხილულ იქნა მგზავრობის პროგრამა და ამ დღეების მოწყობის ყველა დეტალი. შტაბის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. პრომისლოვი, პროფესიულ კავშირთა მოსკოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ვ. კრესტიანინოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე გ. ვლადიკინი, მოსკოვის კონსერვატორიის დირექტორი ა. სვეშნიკოვი, მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე ს. მიხალკოვი, რსფსრ კომპოზიტორთა კავშირის მოსკოვის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე ვ. მურადელი და დედაქალაქის კულტურის ბევრი სხვა მოღვაწე.

ყველას იმედი გვაქვს, რომ ეს დღეები კარგად ჩაივლის და კიდევ უფრო განამტკიცებს მოსკოველთა და თბილისელთა მეგობრობას და რომ ასეთი დღეებიც მოწყობა კეთილი ტრადიციად გახდება.

მრავალფეროვანი პროგრამით

მოსკოვი, 17 მაისი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ხვალ, 18 მაისს 15 საათზე მოსკოვის დროით, მოსკოვსახლო აეროპორტ ვნუკოვო-2-ში აფრინდება მრავალადგილიანი ვერცხლისფერი რეაქტიული ლაინერი და კურსს აიღებს ზუსტად სამხრეთისაკენ. ამ ლაინერით თბილისში გაემგზავრება მოსკოვის კულტურის მოღვაწეთა — თბილისში დედაქალაქის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთა დიდი დელეგაცია.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან მწერლები, მსახიობები, კომპოზიტორები, სახვითი ხელოვნების ოსტატები, მუსიკოსები, თვითმოქმედების მონაწილენი, ოპერის, ბალეტის, ესტრადის მსახიობები.

მოსკოველები დიდხანს და გულმოდგინედ ემზადებოდნენ ამ დღეებისათვის, რომლებმაც კიდევ უფრო ძლიერ უნდა შეადუღაბოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობა.

თბილისში ქალაქ მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეებში საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებნი შეხვდებიან მოსკოველ მწერლებს. თბილისში წასვლას აპირებდა ბევრი გამოჩენილი რუსი საბჭოთა მწერალი, მათ შორის შოლოხოვი, ლეონოვი, ფედინი, სურკოვი, სმირნოვი, სიმონოვი. მაგრამ სწორედ ამ დღეებში მოსკოვში იხსნება მწერალთა სრულიად საკავშირო ყრილობა. ამიტომ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით თბილისში იგზავნება ლიტერატურის მოღვაწეთა მცირე ჯგუფი, რომელსაც სათავეში უდგას ვ. სუბოტინი. მწერალთა ჯგუფში არიან: მაკსიმოვი, ლუკონინი, კუნიავეი, ფრენკელი და სხვ.

სახვითი ხელოვნების ოსტატთა ჯგუფს სათავეში უდგას სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, მხატვართა კავშირის მოსკოვის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი დ. შმარინოვი. ამ ჯგუფის შემადგენლობაში არიან გრაფიკოსი კოროვალოვი, მოქანდაკე გონდარენკო, ფერმწერი ნიმენსკი. თბილისელებისათვის საჩუქრად მხატვრებს თან მიაქვთ გრაფიკული ხელოვნების კომბინაციის წარმოების 65 ესტამპი და მოსკოვის საუკეთესო გრაფიკოსთა ავტო-ლითოგრაფიული ფურცლები. მათ შორის არის შრეგლოვის ნაწარმოები „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“, აქსიონოვისა — „ლენინის ჩამოსვლა რუსეთში 1917 წელს“, ეუკოვისა — „აპასიონატა“, ბოგატკინისა — „ბერლინის იერიში“, მატორინისა — „ეორკი ლენინსკეე“, კონოვალოვისა — „სმოლნში“ და ა. შ. ამ ესტამპებს მიუძღვნიან თბილისის მუზეუმებს, სკოლებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

თბილისში სრული შემადგენლობით მიდის სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. უკანასკნელ წლებში ორკესტრის მსახიობები იყვნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, და მათს გამოსვლებს ყველგან დიდი წარმატება ჰქონდა. ორკესტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს დირიჟორი ე. სვეტლანოვი, თბილისელებს გააცნობს სვირიდოვის პათეტიკურ ორატორიას, მიასკოვსკის მე-16 სიმფონიას, შოსტაკოვიჩის სიმფონიებს და სხვ. ორკესტრის სოლისტებად გამოვლენ დიდი თეატრის მსახიობი ა. ვედერნიკოვი და ნემიროვიჩ-დანჩენკოსა და სტანისლავსკის სახელობის მუსიკალური თეატრის მსახიობი ი. ისაკოვა.

ორ პროგრამას გააცნობს თბილისელებს სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური გუნდი ა. სვეშნიკოვის ხელმძღვანელობით. გუნდის პროგრამაში გლინკას, რახმანინოვის, კალინიკოვის, შუბერტის, შუმანის, როსინის, შოსტაკოვიჩის, ეშპაის, შებალინის და სხვ. ნაწარმოებები. სპეციალურად ამ პროგრამისათვის გუნდმა შეისწავლა რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა და პირველად შეასრულებს მათ თბილისში.

თბილისელთათვის უეჭველად საინტერესო იქნება ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობთა გამოსვლები ლენინური პრემიის ლაურეატის ი. მოისეევის ხელმძღვანელობით. ანსამბლი აჩვენებს თავის ახალ პროგრამას, რომელიც მომზადებულია საზღვარგარეთ მომავალი მრავალი თვის გასტროლებისათვის.

მუსიკის მოყვარულნი ამ დღეებში გაეცნობიან სსრ კავშირის დიდი თეატრის მეთიოლინეთა ანსამბლის ხელოვნებას. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელია ი. რეინგოვიჩი. ანსამბლის პროგრამაში შეტანილია პაგანინის, რონინის, შუბერტის, პროკოფიევის, ლისტის; ჰენდელის, გლაზუნოვის, რახმანინოვისა და ყარა ყარაევის ნაწარმოებები.

თბილისში გამოვა მოსკოვნცერტის ესტრადის მსახიობთა მრავალრიცხოვანი რაზმი და მათ შორის—დედოფალ ელისაბედის სახელობის ბრიუსელის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ა. მისლინი.

თვითმოქმედი კოლექტივების რიცხვიდან პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის ოქტეტი.

მოსკოველები გამოვლენ ქალაქ რუსთავშიც — რუსთავის ქარხანასა და კულტურის სასახლეში. იქ გამოვლენ კომპოზიტორები და ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის ოქტეტი.

მოსკოველთა გამოსვლები გაიმართება კიროვის სახელობის ქარხანაში, კამვოლ-მაუდის კომბინატში. პროგრამაში დასახელებულია ესტრადის მსახიობთა, კომპოზიტორთა გამოსვლები. ხოლო თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში გაიმართება ვახტანგოველთა შეხვედრა სტუდენტებთან. მათთან მივლენ ცნობილი რეჟისორი რ. სიმონოვი, რსფსრ სახალხო არტისტი ი. ბორისოვა და მ. ულიანოვი.

მოსკოველები ეწვევიან ორთქმავალშემკეთებელ ქარხანას, სახელმწიფო უნივერსიტეტს, პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს, თბილისის კონსერვატორიას, სამხატვრო აკადემიას. შეხვედრები გაიმართება ძერჟინსკის სახელობის კლუბში, ოფიცერთა სახლში, ელმავალსამშენებლო ქარხანაში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

საბჭოთა კავშირ-იტალიის კომუნიკე

საბჭოთა მთავრობის მოწვევით საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა იტალიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ამინტორე ფანფანი და ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა აქ 1967 წლის 12-16 მაისს.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ა. ფანფანი მიიღეს ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ნ. კოსიგინმა, ნ. ვ. პოდგორნიმ.

იტალიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ფანფანი რამდენჯერმე ესაუბრა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს.

ამ შეხვედრებისა და საუბრების დროს, აღნიშნულია საბჭოთა კავშირ-იტალიის კომუნიკეში, რაც მეგობრულ ვითარებაში და გულახდილად და კონსტრუქციულად მიმდინარეობდა, გაიმართა ორივე მხარისათვის სასარგებლო აზრთა ურთიერთგაზიარება საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე და განხილულ იქნა სსრ კავშირსა და იტალიას შორის ორმხრივი ურთიერთობის ახლანდელი მდგომარეობა.

საბჭოთა კავშირსა და იტალიას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შინაარსის შესაბამისად მიაჩნიათ, რომ თვითეული მთავრობა, რომელიც მშვიდობისათვის ზრუნავს, მოვალეა ხელი შეუწყოს გადაუჭრელი პრობლემების მოწესრიგებას, პატივი სცეს ხალხთა დამოუკიდებლობას და სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ მათი რწმენით, ხელშეკრულება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის პირობებში, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ქმედითი საშუალებაა.

ატომგულის პრობლემათა დიდი მნიშვნელობის გამო, ხაზი გაუსვეს მხარეებმა, საჭიროა ხელი შეუშალონ ატომური იარაღის გავრცელებას, თანდათან მიაღწიონ იმას, რომ სახელმწიფოებმა შეწყვიტონ მისი წარმოება და, საბოლოო ანგარიშით, მოსპონ ეს იარაღი.

განხილეს რა ევროპის კონტინენტზე ამჟამად არსებული დაძაბულობის შენელებისა და უშიშროების პრობლემები, მხარეები დაადგინენ იმ აზრს, რომ სასარგებლო იქნება მოეწყოს თათბირი ამ პრობლემების განსახილველად.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ აწუხებთ ვიეტნამში შექმნილი მდგომარეობა და მიაჩნიათ, რომ იგი სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს.

სსრ კავშირსა და იტალიას შორის ურთიერთობის განვითარების შესახებ კმაყოფილებით აღინიშნა, რომ მხარეებს სურთ არ დასჯერდნენ მიღწეულ დონეს და განავითარონ თანამშრომლობა ყველა დარგში.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს, რომ საჭირო და სასარგებლოა კონსულტაციები სსრ კავშირისა და იტალიის თავმჯდომარეებს შორის როგორც საერთაშორისო პრობლემებზე, რომლებითაც ორივე ქვეყანა დაინტერესებულია, ისე ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე.

ორივე მხარემ კმაყოფილებით აღნიშნა მრავალსალმთქმელი განვითარება ორ ქვეყანას შორის ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობისა. რომელსაც საფუძვლად უდევს მოქმედი ოთხწლიანი შეთანხმება საქონელბრუნვის შესახებ, რაც ამ უკანასკნელ რვა წელიწადში სამჯერ და მეტად გაიზარდა.

ვიზიტის დასასრულს მხარეებმა კმაყოფილებით გაუსვეს ხაზი, რომ დამთავრებული მოლაპარაკება და ამ დღეებში გამართული საუბრები ადასტურებენ, რომ ორი ქვეყნის ხელმძღვანელ მოღვაწეთა შორის კონტაქტების განვითარება სასარგებლოა საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის ურთიერთობის განმტკიცებისათვის ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ და ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განსამტკიცებლად. (საკდესი).

შეხვედრა მექსიკის სოციალური უზრუნველყოფის მოღვაწეებთან

მესამე დღეა საქართველოში იმყოფება მექსიკის წარმომადგენელთა ჯგუფი, რომელიც მონაწილეობდა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ასოციაციის გენერალური ასამბლეის ლენინგრადის მე-16 სესიაში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: ამერიკის ქვეყნების სოციალური უზრუნველყოფის ცენტრის გენერალური მდივანი, მექსიკის სოციალური უზრუნველყოფის ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი გასტონ ნოველო, კონგრესის წევრი, მექსიკის სოციალური უზრუნველყოფის ინსტიტუტის მშრომელთა ეროვნული პროფკავშირის გენერალური მდივანი მაპუტოუ ანტონიო მარტინესი, სოციალური უზრუნველყოფის ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომელი გარდენასლუის გარსია, სოციალური უზრუნველყოფის ინსტიტუტის პატრონალური მრჩეველი ლეონიდა რაფაელი, ამავე ინსტიტუტის მრჩეველი სანჩეს მადარიაგა ალფონსო.

17 მაისს მექსიკის დელეგატები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში მიიღო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ. იგი მიესალმა სტუმრებს და უსურვა წარმატებანი კეთილშობილურ საქმიანობაში სოციალური პროგრესისა და მშვიდობისათვის. დელეგაციის წევრებს ესაუბრნენ საქართველოს წარსულსა და აწმყოზე, იმ სოციალურ გარდაქმნებზე, რომლებიც საქართველოში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

—მოხარული ვართ, რომ მონაწილეობა მივიღეთ სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ასოციაციის ლენინგრადის გენერალურ ასამბლეაში, — თქვა გასტონ ნოველომ. — შევიტყეთ, თუ რა წარმატებით წყდება სოციალური უზრუნველყოფის პრობლემა თქვენს ქვეყანაში, და ბევრი სასარგებლო რამ შევიძინეთ.

თვითეული ჩვენგანი მუდამ მოიგონებს საქართველოში გატარებულ დღეებს. თქვენს რესპუბლიკაში ჩამოსვლისთანავე ვიგრძენით ქართველთა გულთბილობა, გულითადობა და სტუმართმოყვარეობა.

დარბაზობაზე იყვნენ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გიგოშვილი, რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილეები დ. ჭიჭინაძე და ბ. აკიმენკო, სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ასოციაციის გენერალური ასამბლეის მონაწილე, საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. გიფრინდაშვილი, საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გაჩეჩილაძე, რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს კოლეგიის წევრი ნ. კერესელიძე. (საკდესი).



სამშობლოს აღიარება

ბამოჩენილ საბჭოთა მწერლებს მიხეილ შოლოხოვსა და ლეონიდ ლეონოვს მიმდინარე წელს მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. ისინი დაჯილდოებული არიან საბჭოთა კულტურის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, სოციალისტური რეალიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული მხატვრული ნაწარმოებების შექმნისათვის, რომლებმაც საერთა-სახალხო აღიარება ჰპოვეს და აქტიურად უწყობენ ხელს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას, ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

16 მაისს კრემლში სოციალისტური შრომის გმირებს მ. ა. შოლოხოვსა და ლ. მ. ლეონოვს გადაეცათ ლენინის ორდენები და ოქროს medlები „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით გულითადად მ

თვითეული ჰექტარი ნაყოფიერი უნდა იყოს

რესპუბლიკური თათბირი სარწყავი მიწების ეფექტიანი გამოყენების საკითხებზე

მეწა ხალხის სიმდიდრეა. მისი ნაყოფიერების ზრდა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. პარტიის მიერ შემუშავებულმა ორგანიზაციულმა და ეკონომიურმა ღონისძიებებმა ხელშემწყობი პირობები შექმნეს, რომ დაჩქარდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება. უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიწების მელიორაციის პროგრამას, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა დასახა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის (1966 წელი) პლენუმის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მისაღებად მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარების შესახებ“ შეეხებამება საბჭოთა ადამიანების ძირეულ ინტერესებს. მელიორაცია ყველაზე სწორ და ხელსაყრელ გზას უკვალავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციას.

ასრულებენ რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა დიდი წარმატებანი მოიპოვეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და დამზადებაში. მაგრამ წარმატებანი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, მეტი უურადღება რომ ეთმობოდეს სარწყავ მიწათმოქმედებას.

სარწყავი მიწების ეფექტიანად გამოყენების საკითხებს მიეძღვნა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

მოხსენება გააკეთა ხაქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა მ. ბ. ღვინჯილიამ.

სოფლის მშრომელები, თქვა ამხ. ღვინჯილიამ, დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ემზადებიან დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად. ახორციელებენ რა პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და მაისის პლენუმების გადაწყვეტილებებს, მათ დიდი წარმატება მოიპოვეს ხუთწლედის პირველ წელს. გადაჭარბებით შესრულდა ჩაის ფოთლის, ყურძნის, ბოსტნეულის, მარცვლის, ხორცის, რძის, კვერცხის, აბრეშუმის პარკისა და სხვა პროდუქტების დამზადების გეგმები. კიდევ უფრო სერიოზული ამოცანები დგას ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე წელს და ხუთწლედის შემდგომ წლებში.

მიწათმოქმედების ძირეული გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი გზა, უპირველისადაც წარმოუდგენელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარება, არის სარწყავი მიწების ეფექტიანი გამოყენება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1966 წელი) პლენუმმა მიიღო მიწების მელიორაციის, მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მიღების გაზრდილი პროგრამა. მიწების მელიორაცია იმ ღონისძიებათა კომპლექსია, რომელთა მიზანია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბუნებრივი პირობების გაუმჯობესება. რწყვასთან, დაშრობასა და გაწყლიანებასთან ერთად უმჯობესდება მდელოები და საძოვრები, წარმოებს ბრძოლა ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის წინააღმდეგ, მეაგე ნიადაგების გაკირიანება და მლაშობების გათაბშირიანება.

ქართველმა მიწათმოქმედებმა ყოველთვის კარგად იცოდნენ რწყვის ფასი. მართლაც, მიწას უხვი მოსავალი შეუძლია მოგვცეს, თუ უხრუნველყოფთ ტენით. მაგრამ ამასთანავე არ უნდა დავიკიწყოთ, რომ რწყვა ეფექტიანია მხოლოდ მიწათმოქმედების მაღალი კულტურის პირობებში. მაგრამ რწყვის შედეგად ინტენსიურად ვითარდება არა მარტო კულტურული მცენარეები, არამედ სარეველებიც, იქმნება მცენარეთა დაავადების პირობები. ბრძოლა ამ მოვლენების წინააღმდეგ განუყოფელია საირიგაციო სამუშაოებისაგან.

ჩვენ ბევრი მაგალითი გვაქვს, როცა სარწყავ მიწებზე მეურნეობას უხვი მოსავალი მოჰყავს. ეს შედეგია პროგრესული აგროტექნიკური წესების გამოყენებისა, რომლებიც მეცხოერებმა გვირჩიეს და გამოცდილია პრაქტიკულად. მაგალითად, ზარმან გორის რაიონის ხურგალეთის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ი. ებაიძე) 257 ჰექტარი სარწყავი ხეხილის ბაღის თითოეულ ჰექტარზე მიიღეს 116 ცენტნერი ხილი. იმავე რაიონში სოფელ ფლავის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. ეცადაშვილი) 40 ჰექტარ ნაკვეთზე საშუალოდ მოიწია 770 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. თელავის რაიონის სოფელ სახორნის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. მარგალიტაშვილი) 137 ჰექტარ ვენახში საშუალოდ მიიღო 102 ცენტნერი ყურძენი. საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. ათაბეგაშვილი) 75 ჰექტარ სარწყავ ყანაში საშუალოდ მოიწია 30 ცენტნერი ხორბალი.

მაგრამ ყველა სარწყავი მიწა როდი იძლევა სასურველ შედეგებს. ხშირად სარწყავ მიწებზე იგეგმება მცირე მოსავლიანობა. საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობა რესპუბლიკაში 1967 წლისათვის დაგეგმილია 12,6 ცენტნერი ჰექტარზე, სარწყავ მიწებზე კი 14 ცენტნერი. საბჭოთა მეურნეობებში შესაბამისად — დაგეგმილია 11,2 და 14,9 ცენტნერი. სიმინდის საშუალო მოსავლიანობა დაგეგმილია 18 ცენტნერი, სარწყავ ნაკვეთებზე კი 20,6 ცენტნერი (საბჭოთა მეურნეობებში — 19,6 და 22,4 ცენტნერი). როგორც ხედავთ, განსხვავება დიდი არ არის, მაგრამ ეს გეგმებით გათვალისწინებული ციფრები ნაკარნახევია ურწყავი და სარწყავი მიწების მოსავლიანობის უკანასკნელი წლების რეალური მაჩვენებლებით. ეს მაჩვენებლები მოწმობენ, რომ ცალკეული კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებენ რწყვის უპირატესობებს.

დაბალი მოსავლიანობა სარწყავ მიწებზე უწინარეს ყოვლისა ელემენტარული აგროტექნიკური წესების, რწყვის ნორმების უხეშად დარღვევის, სარწყავი წყლის გამოუყენებლობის შედეგია. შარშან რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სარწყავი 345,7 ათასი ჰექტარიდან ფაქტიურად მორწყეს მხოლოდ 235,4 ათასი ჰექტარი, სარწყავად მომზადებული დანარჩენი ფართობი უწყლოდ დარჩა.

მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოები და წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოები დამაკმაყოფილებლად ვერ ხელმძღვანელობენ სარწყავ მიწათმოქმედებას, ფვალს არ ადევნებენ რწყვის წესების დაცვას. ზოგიერთი რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი ქმედითს ხელმძღვანელობასა და კონტროლს არ უწევს ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს.

ბევრ მეურნეობაში არ წარმოებს სარწყავი წყლის ფაქტიური გამოყენების აღრიცხვა, სარწყავი ნაკვეთები მიჩენილი არა აქვთ მრწყველებს, ხოლო როცა საქმე ანგარიშგებამდე მიდის, არ უჯერებენ ციფრებსა და მაჩვენებლებს, რომლებიც თვითონ წარადგინეს სტატისტიკის ორგანოებში. შემოწმებამ დაადასტურა, რომ პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები ხშირად არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან სარწყავი მიწათმოქმედების აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემაში ჯერ კიდევ არ არის სათანადო წესრიგი. შეცდომები უნდა გამოვასწოროთ ამ მიწების ინვენტარიზაციისა და სარწყავი სისტემების პასპორტიზაციის დროს. ეს მუშაობა უკვე დაწყებულია და წელს უნდა დამთავრდეს.

სარწყავი მიწების არადამაკმაყოფილებლად გამოყენების მიზეზები ბევრია. მეტ წილ შემთხვევებში რწყვის ხარისხი დაბალია და დაგვიანებით წარმოებს. წვიმის მოლოდინში მშრომელები არ ზრუნავენ რწყვისათვის, კრიზისულ პერიოდებში კი არ გამოჰყოფენ საკმარის მრწყველებს და არც წყალი ჰყოფნით ამ დროს.

გასული წლის 20 აგვისტოსათვის ქარელის რაიონის ბრეთის მეგობლობის საბჭოთა მეურნეობაში ერთხელაც არ მოურწყავთ 102 ჰექტარი ხილის ახალი ბაღი, 50 ჰექტარი სიმინდის ყანა, 141 ჰექტარი ესპარეტი, 17 ჰექტარი ლუბინი, ამავე რაიონისათვის ქვეინტაკოცის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი გ. ბარჯაძე) 240 ჰექტარი სიმინდის ყანიდან ძლივრწყა მხოლოდ 50, წყალი არ მიეცა 110 ჰექტარ ხილის ახალგაზრდა ბაღს. ქარელის რაიონის სოფელ მოხისის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. ლობჟანიძე) არ მოურწყავთ 105 ჰექტარი სიმინდის ყანა, 25 ჰექტარი ხილის ბაღი, 17 ჰექტარი ესპარეტი და 4 ჰექტარი ვენახი.

სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოები და წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ნაკვეთების რწყვასა და სარწყავი ქსელების მდგომარეობას. შეიძლება მოვიყვაოთ ბევრი მაგალითი, როცა მეურნეობანი მომზადებული არ არიან საგეგეტაციო რწყვის პერიოდისათვის, როცა აგვიანებენ სახელმწიფო სარწყავი სისტემების გაწმენდასა და მათ რემონტს, რაც ფუჭაყს რწყვის გადებს, იწვევს წყლის რესურსების დაკარგვას.

მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ხშირად არ აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესების ღამით რწყვას. რწყვის მოუწესრიგებლობის გამო ძნელია, ხშირად კი შეუძლებელიც, დადგინდეს, თუ რომელი ფართობი და რა ვადაში მორწყა. ხშირად მეურნეობათა ხელმძღვანელები ცნობებს რწყვის შესახებ გზავნიან შეუმოწმებელი მონაცემების საფუძველზე. ეს იმას იწვევს, რომ მცენარეები ვერ იღებენ საჭირო რაოდენობით ტენს. გორის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურები სამჯერ უნდა მორწყულიყო 32.271 ჰექტარზე, ესე იგი უნდა განხორციელებულიყო სარწყავი სამუშაოები 96.800 ჰექტარზე, ფაქტიურად კი მოირწყა 69.100 ჰექტარი. ამრიგად მცენარეებს არ მიეღიათ 47 მილიონი კუბური მეტრი წყალი.

სარწყავი სისტემების ცუდი ექსპლოატაციისა და სარწყავი არხების სივიწროვის გამო ხშირად ხდება ნიადაგების ეროზია და დაჯაობება. ირიგაციის მიერი ეროზია გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით საგარეჯოს, დოლგაურის, ტირიფონის, ოკამისა და ალაზნის სარწყავი სისტემების ზონებში.

ახლახან სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება: „ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დადგენილებას იმ ღონისძიებათა კომპლექსში, რომლებსაც სახელმწიფო ახლა დიდი მასშტაბით ახორციელებს მიწათმოქმედების კულტურის ასამაღლებლად. უახლოეს ხანში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო დაამტკიცებენ ამ ღონისძიებათა ვრცელ გეგმას საქართველოსათვის. ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი კვლავ არის სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის ხარისხი. უხარისხო რწყვა ხომ დიდ ზიანს აყენებს მიწასაც და ნათესებსაც.

სარწყავი მიწათმოქმედების ერთ-ერთი ნაკლი ის არის, რომ დღემდე ჯეროვანი წესრიგი არ არის დამყარებული მრწყველთა შრომის ანაზღაურებაში, ისინი უზრუნველყოფილი არ არიან საჭირო ინვენტარითა და ტანსაცმლით. მთელ რიგ შემთხვევებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამოყოფილი არ არიან პირები, რომლებიც პასუხს აგებენ რწყვისათვის, შექმნილი არ არის მრწყველთა ჯგუფები და ბრიგადები. ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე მიდოდილი აქვთ მოუძზადებელ ადამიანებს.

რწყვის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ სამგორის ჯიშთსანაშენო მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ვ. კოროძე, დირექტორის მოადგილე მელიორაციის დარგში ვ. ღალინიე). წინათ ცუდი რწყვის გამო საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიის რელიეფი უსწორ-მასწორო იყო, ნიადაგი ირეცხებოდა. ახლა მიწები მოასწორეს და დიდად ეფექტიანად იყენებენ რწყვის პროგრესულ მეთოდებს. მეურნეობაში შექმნილია მრწყველთა მუდმივი ჯგუფები და ბრიგადები, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან საჭირო ინვენტარითა და სპეციალური ტანსაცმლით. საბჭოთა მეურნეობაში რწყვის ყველა საკითხს ხელმძღვანელობს ინჟინერ-მელიორატორი.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ დიდმწარმოებლურად გამოვიყენოთ თითოეული ჰექტარი მიწა, გახსოვდეთ, რომ სარწყავი მიწები. და ამ საქმეში დიდ როლს ასრულებს მრწყველი. მის მოხდომებასა და კეთილსინდისიერებაზე ბევრად არის დამოკიდებული რწყვის ეფექტიანობა. კარგი მრწყველი მცენარეებს უხვად მიაწვდის ტენს და ნიადაგს არ გაადუქებს, ამასთან წყალსაც დაზოგავს. ცუდი მრწყველი კი პირიქით დაიხიანებს მცენარეებს, დააჭაობებს ნიადაგებს, გადახარჯავს უიმისოდაც დეფიციტურ წყალს გვალვების დროს.

ამბ. ღვინჯილიამ რწმენა გამოთქვა, რომ უმოკლეს ვადაში აღმოიფხვრება ნაკლოვანებანი სარწყავ მიწათმოქმედებაში, და თითოეული ჰექტარი მიწა ნაყოფიერი გახდება.

მოხსენების გამო დაიწყო კამათი.

ჩვენს საბჭოთა მეურნეობას, თქვა სამგორის ჯიშთსანაშენო მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილემ მელიორაციის დარგში **ვ. ღალინიემ,** — 35 ათასი ჰექტარი მიწა უჭირავს, რომლთაგან სახნავად გამოყოფილია 7.100 ჰექტარი. მიწების მეტი ნაწილი — 5.568 ჰექტარი ირწყვება. ჩვენთან წარმოების წამყვანი დარგი მეცხოველეობაა. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საკვები ბაზის შექმნას. სისტემატურად დიდდება საკვები კულტურების ფართობები, რომლებიც მლაშობების დამუშავების შედეგადაა მიღებული და რომლებზეც ითესება ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახები. ჩვენს მეურნეობაში მუშაობს 70 კვალიფიცირებული მრწყველი, რომელთაგან ათი მომზადებულია დასაწვმა დანადგარებზე სამუშაოდ. შეიქმნა რგოლები — სამ-სამი კაცი თითოეულ რგოლში. თითოეული რგოლი უკლის 80-120 ჰექტარ მიწას. ჩვენი საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის მიერ ნაკისრ ვალდებულებებში არის პუნქტები მრწყველთა მუშაობის შესახებაც.

ჩვენს რაიონში, თქვა პარტიის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა **რ. ბზიშვილმა,** სასარგებლო მიწების ნახევარზე მეტი ირწყვება. შარშან 14.898 ჰექტარზე დავთესეთ თავთავიანი კულტურები და საშუალოდ ჰექტარზე მიიღეთ 10 ცენტნერი მარცვალი. სარწყავ ფართობებზე მარცვლის მოსავლიანობამ შეადგინა 17 ცენტნერი, ურწყულზე კი სულ ოთხი. ეს ციფრები ცხადყოფენ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მორწყვას.

რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სარწყავ წყალს იღებენ ტირიფონის სარწყავი სისტემიდან, რომელიც ერთ-ერთი პირველი საირიგაციო ხაგებობაა საქართველოში. არხი ვეღარ აკმაყოფილებს სოფლის მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნილებას და ამიტომ გათვალისწინებულია მისი რეკონსტრუქცია და ნაგარაბაღევის სარწყავი არხის მშენებლობა. რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ უნდა დაიჩქაროს ნაგარაბაღევის სისტემის მშენებლობა, რომელიც წყალს მიაწვდის ახლად გაშენებულ ვენახებს.

ამბ. ნადაშვილმა აღნიშნა აგრეთვე სხვა ნაკლოვანებანი, რომლებიც სარწყავ მიწათმოქმედებაში არის.

სამხრეთ ოსეთის მეურნეობები, თქვა ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ბ. ტოტჩიევმა,** მთელი პასუხისმგებლობით აყარიოებენ ხათესებისა და მრავალწლიანი ხარგავების მორწყვას. ამის მედგად სულ უფრო იზრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. წელს გეგმით უნდა მოვრწყოთ 8.556 ჰექტარი. სოფლის მშრომელებმა გააჩაღეს შეჯიბრება სარწყავი წყლის უფრო ეფექტიანი გამოყენებისათვის.

სამხრეთ ოსეთში არის შესაძლებლობა გავზარდოთ სარწყავი ფართობები. მაგალითად, საკმარისია რამდენიმე ტუმბოს დადგმა, რომ გაფართოვდეს სარწყავი ნაკვეთები თამარაშენის საბჭოთა მეურნეობაში, სოფლების სარაბუკის, კეხვისა და სხვათა კოლმეურნეობებში.

საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა **მ. გაგოშიძემ** თავის სიტყვაში დიდი ყურადღება დაუთმო სწორი და ფასიერი მორწყვის საკითხებს. მან თქვა, რომ სამეცნიერო დაწესებულება, რომელსაც იგი მეთაურობს, ამუშავებს მორწყვის, ნიადაგის, ტენის დანაკარგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან მეთოდებს, ქმნის ჰიდროტექნიკურ მოწყობილობას, მუშაობს სამელიორაციო ოპერაციების მექანიზაციისათვის.

ჩვენი ყოველდღიური საზრუნავია, თქვა მან, ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობის შედეგები დავნერგოთ წარმოებაში. სამწუხაროდ, ზოგჯერ რამდენიმე წელი გადის, სანამ ეს განხორციელდებოდეს.

„100 წელია არსებობს გარდაბნის სარწყავი სისტემა, მაგრამ რაიონის მეურნეობებს არასოდეს არ მოუწევთათ ასეთი უხვი მოსავალი“, თქვა პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. ნადაშვილმა** და ნათქვამის დასადასტურებლად მთელი რიგი მაგალითები მოიყვანა.

ზემო სამგორის სარწყავმა სისტემამ გააცოცხლა გარდაბნის ველი, ახლა აქ არის 20 საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც თბილისისა და რუსთავის მოსახლეობას აწვდიან ახალ ბოსტნეულს, ხილს, ყურძენს, რძეს, ხორცს, კვერცხს. წყურვილმოკლული გვალვიანი ველი ჰექტარზე 160 ცენტნერ ბოსტნეულს გვაძლევს.

ამდენი ბოსტნეული მოიწია შარშან რუისბოლოს საბჭოთა მეურნეობამ, რომლის დირექტორია **ბ. ისმაილოვი.** ამ საბჭოთა მეურნეობაში მოწინავე მებოსტნეებს 500-600 ცენტნერი ბოსტნეულიც კი მოჰყავთ ჰექტარზე. აი როგორი მოსავალს მოყვანა შეიძლება სარწყავ მიწაზე.

ამბ. ნადაშვილი დაწვრილებით შეეხო სარწყავი მიწათმოქმედების საჭირბოროტო საკითხებს. მან თქვა, რომ რაიონის მშრომელებმა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად იკისრეს მაღალი ვალდებულებანი და წარმატებით ახორციელებენ მათ.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი **გ. ქობულია.**

ამ ბოლო წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, თქვა მან, მიიღეს მთელი რიგი დადგენილებანი სარწყავი მიწების უკეთ გამოყენების შესახებ. დიდი ყურადღება დაეთმო კადრების მომზადებას. შეიქმნა კურსები, რომლებიც ამზადებენ სარწყავი მიწათმოქმედების სპეციალისტებს. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკვე პაყავთ მომზადებული მომრწყველები. შეძლებულია მათი შრომის ანაზღაურების სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს მატერიალური დაინტერესება. დიდ მეურნეობებში შემოღებულია ინჟინერ-მელიორატორის თანამდებობა.

ამ ღონისძიებებმა ხელი შეუწყვეს სარწყავი მიწების უკეთ გამოყენებას. გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების საშუალო მოსავლიანობა. მაგალითად, თუ 1962 წელს ხორბლის მოსავლიანობა სარწყავ ჰექტარზე შეადგენდა 11,2 ცენტნერს, შარშან 14 ცენტნერი შეადგინა. შესაბამისად გადიდდა სიმინდის მოსავალი 7 ცენტნერით, შაქრის ჭარხლისა — 195 ცენტნერით, ბოსტნეულისა — 29 ცენტნერით. გაიზარდა ბაღების, ვენახების, ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა.

მაგრამ სარწყავი მიწათმოქმედების პოტენციურ შესაძლებლობებს სრულად ვერ ვიყენებთ. ერთ ჰექტარზე 14 ცენტნერი ხორბალი ჩვენი მხარის ხელშემწყობი კლიმატური პირობებისათვის ხომ ზღვარი არ არის. საქმე ის არის, რომ მთელ რიგ მეურნეობებში ჯეროვნად არ აფასებენ რწყვის მნიშვნელობას.

რატომდაც შექმნილია ასეთი აზრი, თითქოს გაზაფხულის წვიმები საკმარისი იყოს მარცვლოვანი კულტურებისათვის. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არ გაპყავთ დროებითი სარწყავი ქსელები სახნავებში. ხოლო, როდესაც კლიმატური პირობების გამო საჭიროა რწყვა, ეს ქსელები მოუმზადებელია. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოთ შიდასამეურნეო სარწყავი ქსელების მოწყობას.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რწყვას შეუძლია სასწაულები მოახდინოს. მხოლოდ მოწინავე აგროტექნიკის კომპლექსით შეგვიძლია მოვიპოვოთ წარმატება.

მაგალითად, დაგვიანებული კულტივაცია ან მოსავლის აღება ამცირებს მოსავალს. ასევე ზარალს იწვევს მოუწყვეელობა. ზამთარ უნდა დავიცვა ! რწყვის მეცნიერულად შემუშავებული ვადები და ნორმები. მთავარია სწორად მოვრწყათ. ეს ძალიან შრომატევადი პროცესია, რომელიც მზრუნველ ხელს საჭიროებს. უხარისხო მორწყვა იწვევს ნიადაგების ეროზიას, მიწების დაჭაობებასა და დამლაშებას.

გარდა ამისა, უნდა მოვრწყათ რაგორც ღილით, ისე ღამით. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს წესი ხშირად ირღვევა. ბევრი წყალი, რომელიც ღამით მორწყავდა მიწას, ფუჭად იკარგება იმის გამო, რომ არ გვყოფნის მომრწყველები. ჩვენი გამოანგარიშებით, მარტო აღმოსავლეთ საქართველოში ამ საქმისათვის რწყვის სეზონში გვჭირდება 15 ათასი კაცი.

გამოსავალი არის. ეს არის სარწყავი პროცესების მექანიზაცია. გვაქვს დასაწყიმებელი დანადგარები, რომელთა გამოყენება საჭიროებს დიდი რაოდენობის მიღებას და მხოშვნელოვან ფულად სახსრებს. შესანიშნავ მაგალითს გვიჩვენებს უკრაინა, სადაც 200 ათასი ჰექტარი დასაწვიმებელი მანქანებით იარწყვება. უკრაინელთა გამოცდილება შეისწავლეს ჩვენი სამინისტროს სპეციალისტებმა. საჭირო მანქანები შეძენილია საქართველოს პირობებში გამოსაცდელად. ეს მანქანები მუშაობს სიღნაღის, საგარეჯოს, გორისა და ხაშურის რაიონების მეურნეობებში.

სარწყავი მიწების ეფექტიანი გამოყენება დიდმნიშვნელოვანი სახალხოსამეურნეო საქმეა. ირიგაციას სანიმუშოდ იყენებენ ვარკეთილისა და სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობანი, ქარელის რაიონის სოფელ ბრეთის კოლმეურნეობა, ყაჩაღნის საბჭოთა მეურნეობა და სხვა მეურნეობანი. სწორედ მათ მაგალითს უნდა მივბაძოთ.

თავის გამოსვლაში მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველის მოადგილემ **გ. ლევდარიანმა** მოიყვანა ფაქტები, რომლისაც უნაყოფიერეს სარწყავ მიწებზე აშენებენ სამრეწველო ობიექტებს, ისეთ ხაგებობებს, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობა არა აქვთ. თბილისისა და რუსთავის გარეუბნებში უკანასკნელი სამი წლის ძანძილზე ამ საქმისათვის საბჭოთა მეურნეობების საკარგულებიდან გამოიყო 2.703 ჰექტარი (აქედან 1.042 სარწყავი). ბოლო უნდა ძიელოს მიწების ასეთ გამოყენებას. ამ ფართობების მორწყვას ხომ დიდი სახელმწიფო სახსრები მოხმარდა.

მომრწყველთა ძნელ, მაგრამ საპატიო შრომაზე ილაპარაკა ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურის კოლმეურნეობის წევრმა **ს. მეტივიშვილმა.**

ჩვენს კოლმეურნეობაში, თქვა მან, 1.100 ჰექტარი სარწყავი მიწაა, აქედან 425 ჰექტარი ბაღ-ვენახებს უკავია. მე დიდი ხანია მომრწყველად ვმუშაობ და კარგად ვხედავ რწყვის უპირატესობას. იქ, სადაც სიმინდი წყალს იღებს, ჰექტარზე 25-30 ცენტნერი ძოსავალი მოგვყავს, შაქრის ჭარხალი კი 400 ცენტნერი. ამ კულტურების საერთო მოსავლიანობა მაინც მცირე გამოდგა იმიტომ, რომ დროზე ვერ მოვრწყეთ ნაკვეთები, არ გვყოფნიდა მუშახელი.

ჩემი აზრით, მომრწყველის შრომა მაღალი შეფასების . ღირსია. ეს საქმე უნდა დაეკვალოს მხოლოდ პატივსაცემ და თავისი საქმის მცოდნე ხალხს. რწყვის საქმეში არ უნდა იყოს შემთხვევითობა, რადგანაც ამან შეიძლება ნათესებისა და ნიადაგის გაფუჭება გამოიწვიოს. ჩვენს კოლმეურნეობაში შეიქმნა მომრწყველთა ბრიგადა 25 კაცის შემადგენლობით. ჩვენ გულდასმით გავწმიდეთ შიდასამეურნეო არხები. ბრიგადის წევრები ყოველ ღონეს იხმარენ, რომ საკოლმეურნეო მიწის არც ერთი ჰექტარი არ დარჩეს უწყალოდ.

შემდეგ გამოვიდა თელავის რაიონის სოფელ სანაირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ა. მარგალიტაშვილი.** მან ილაპარაკა წარმატებებზე, რომლებიც კოლმეურნეობამ მოიპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. კოლმეურნეობაში 515 ჰექტარი სარწყავი მიწაა. ნაკვეთებში, რომლებმაც შარშან მიიღეს წყალი, კოლმეურნეებმა ჰექტარზე 102 ცენტნერი ყურძენი მოიწიეს, საშუალო მოსავლიანობამ კი 76 ცენტნერი შეადგინა. ეს რწყვის მაღალ ეფექტიანობას მოწმობს. მეურნეობის ხელმძღვანელმა თათბირის მონაწილეებს აღუთქვა, რომ მომდინარე წელს რწყვის — ყურძნის, ხილის, სიმინდისა და სხვა კულტურების მოსავლიანობის გაღიდების ამ დიდმნიშვნელოვან ბერკეტს მაქსიმალურად გამოიყენებენ.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე საგარეჯოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ა. დავითაშვილი,** კასპის რაიონის ოკამის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ა. ჭაჭაია,** წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ო. მაღლაფერიძე.**

სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ. დ. ჯავახიშვილმა.**

ჩვენი თათბირი, თქვა ამხ. ჯავახიშვილმა, ეძღვნება უაღრესად დიდმნიშვნელოვან საკითხს. საქმე ეხება იმას, რომ განუხრელად ვიზრუნოთ ჩვენი სარწყავი მიწების სრულფასოვანი გამოყენებისათვის, კიდევ უფრო გაზრდოთ ნიადაგის ნაყოფიერება, მოვიწიოთ უხვი მოსავალი თითოეულ ჰექტარზე. ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა მიიღო ერცელი დადგენილება საქართველოს სამმართველოს მუშაკები ვერ უზრუნველყოფენ არხების დროულ რემონტს. გაწმენდასა და სხვა სამუშაოებს, რომლებიც დაკავშირებულია სარწყავი ქსელების სწორ ექსპლატაციასთან. იგივე შეგვიძლია ვუსაყვედუროთ მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც მხედველობაში არ იღებენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს შიდასამეურნეო სარწყავი ქსელების სანიმუშოდ მოვლასა და ექსპლოატაციას, მიწების სწორად აგებვასა. ხოლო როცა რწყვის სეზონი იწყება, ასეთ მეურნეობათა ხელმძღვანელები ვეღარ უზრუნველყოფენ ნათესებისა და ნარგავების სათანადო რწყვას.

როცა ვლაპარაკობთ სარწყავი მიწების ეფექტიანად გამოყენებაში არსებულ ნაკლოვანებებზე, მხედველობაში გვყავს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემათა სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოების მუშაკები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, რომლებსაც აკისრიათ პასუხისმგებლობა დავალებული დიდმნიშვნელოვანი საქმისათვის. ისინი მოწოდებული არიან ისე წარმართონ მუშაობა ადგილზე, რომ თითოეული ჰექტარი მიწა იძლეოდეს უხვ მოსავალს. ეს არის ერთადერთი გზა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

დასასრულ ამხ. ჯავახიშვილმა რწმენა გამოთქვა, რომ სოფლის მშრომელები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ საიუბილეო 1967 წელი აღნიშნონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში მაღალი მაჩვენებლებით, უფრო სრულად უზრუნველყონ ამ პროდუქტებით მოსახლეობა, ხოლო მრეწველობა — ნედლეულით. (საქდესი).



სურათზე: ტრესტ „წყალმშენის“ მშენებლები მუშაობენ ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მოპირკეთებაზე.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა.

ხილ-ბოსტნეული—მოსახლეობას

**17 მაისს გორის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „სახმთავარკონსერვხილბოსტნის“ მთავარი სამმართველოს მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, მთელი რიგი სამინისტროების, ორგანიზაციებისა და უწყებების პარტიულ და სამეურნეო აქტივთან ერთად. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონ

საერთაშორისო ხელვრეჯა

სოლიდარობა და შეკავშირება

პარიზი, 17 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. საფონოვი გვატყობინებს:

საფრანგეთი გაიფიცა. პირველად მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ პროფკავშირთა მოწოდებით მილიონობით ფრანგმა მშრომელმა დღეს მოაწყო საყოველთაო ეროვნული გაფიცვა.

მუშები, გლეხები, სახელმწიფო და კერძო საწარმოთა და დაწესებულებათა მოსამსახურეები ამ ბოლო წლებისათვის უმაგალითო სოლიდარობითა და ერთობით ილაშქრებენ დღეს მთავრობის ცდების წინააღმდეგ მიიღოს „საგანგებო უფლებანი“ ეკონომიურ და სოციალურ დარგში.

დღევანდელი საყოველთაო ეროვნული გაფიცვის შედეგად მთლიანად პარალიზებულია საფრანგეთის ცხოვრება. როგორც ყოველთვის, მშრომელებისათვის სამაგალითოა საფრანგეთის უდიდესი სამრეწველო ქალაქების — პარიზის, ლიონის, მარსელის, სენტ-ეტიენის, ლილის, სტრასბურგისა და ბევრი სხვა ქალაქის მუშათა გამოსვლები.

გამორთულია დენი, დაიხურა მაღაზიები და სკოლები, გაჩერდა მატარებლები, სიჩუმეა აეროდრომებზე, არ გამოდის გაზეთები, თითქმის მთლიანად გამორთულია გაზი, არ მუშაობს რადიო და ტელევიზია, — ასეთია საფრანგეთი დღეს.

ასეთივე უჩვეულო იერი აქვს საფრანგეთის დედაქალაქს. ვერავის ვერ დაინახავთ პარიზის ჩვეულებრივ ხალხმრავალ ვოგზლებსა და მეტროს სადგურებში: გამგზავლები უმიდეოდ შესაკერიან უზარმაზარ პანოს, რომელიც იუწყება, რომ მხოლოდ სპირტის ნათურაზე გაცხელებული ყავა. მაღაზიების ფერადოვან ვიტრინებს ალარ ანათებს ნეონის შუქი, მთლიანად გამორთულია სიგნალიზაცია, რომელიც აწესრიგებს მოძრაობას. ათასობით ავტომანქანა დიდხანს დგას გზაჯვარედინზე, სადაც პოლიციელები ცდილობენ აღადგინონ მოძრაობის ნორმალური რიტმი.

ქუჩებში ბევრია სამხედრო სატვირთო მანქანა. ხელისუფალთა ბრძანებით ჯარისკაცები ცდილობენ შეცვალონ ქალაქის ტრანსპორტის გაფიცული მძღოლები.

განსაკუთრებით ბევრი ხალხია რესპუბლიკისა და ბასტილიის მოედნების მახლობლად, სადაც პროფკავშირულ გაერთიანებათა მოწოდებით ათეულათასობით პარიზელი მშრომელი ემზადება დემონსტრაციისათვის, რომელიც ნაშუადღევს არის დანიშნული.

ბარბაროსობის ესკალაცია

ჰანოი, 17 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ე. კობელევი გვატყობინებს:

„1967 წლის 14 მაისს ამერიკის ავიაცია კვლავ დაესხა თავს ჰანოის. ეს თავხედური აქცია ომის ესკალაციის იმ ახალი, უაღრესად საშიში გეგმის ნაწილია, რომლის განხორციელება აპრილის შუა რიცხვებში დაიწყო“, — ნათქვამია ვიეტნამში ამერიკელთა საჰაერო დახმარეულის გამომძიებელი ვიეტნამის კომიტეტის განცხადებაში, რომელიც დღეს ჰანოიში გამართულ პრეს-კონფერენციაზე წაიკითხეს. ამერიკის ავიაცია ბომბავს აგრეთვე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრს — ქალაქ ჰაიფონს. 10 მაისს დღე-ღამის განმავლობაში ამერიკის 50-ზე მეტმა თვითმფრინავმა 70-ზე მეტი ბომბი ჩამოაგდო ამ ქალაქის სამრეწველო და საცხოვრებელ რაიონებში. დაიბოცა და დაიჭრა დიდძალი ხალხი, დაინგრა საცხოვრებელი სახლები. ამ თავდასხმების დროს, ხაზგასმულია განცხადებაში, ამერიკის თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს აგრეთვე ორი ათასი საფანტიანი ბომბი თხიერნეგიანების მაზრის გლეხთა ხტურიზე ჰაიფონის მახლობლად. 18 კაცი დაიღუპა, 35 დაშავდა.

ჰანოიში დაბომბვის ობიექტები გახდა საცხოვრებელი უბნები დონგდა, ზიალამა, სამოქალაქო აეროპორტი, აგრეთვე ახლომახლო მაზრები დონგანი, თხანჩი, ტილიემი.

ვიეტნამელ მეომართა წარმატება

ჰანოი, 16 მაისი. (საკდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა გუშინ ლანგშონის პროვინციის ტერიტორიაზე ჩამოაგდეს ერთი ამერიკული თვითმფრინავი. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოგდებული ამერიკული თვითმფრინავების საერთო რიცხვმა 1.898-ს მიაღწია.

ვიეტნამის სახალხო არმიის სანაპირო არტილერიის ნაწილებმა გუშინ თხანჰოის პროვინციაში (ეიცხლი დაუშინეს ამერიკის სამხედრო ხომალდების ჯგუფს, რომლებიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში შემოიჭრნენ, და დაუხიანეს ერთი ხომალდი.

ეს უკვე მე-19 ამერიკული ხომალდია, რომელიც ვიეტნამელმა მეომრებმა გამოიყვანეს მწყობრიდან ამა წლის 26 თებერვლის შემდეგ.

ეტკიცე მოთხოვნა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლობის ნოტა

ნიუ-იორკი, 17 მაისი. (საკდესი). სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გენერალური მდივნის უ თანისადმი გაგზავნილ ნოტაში ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირი გადაჭრით ილაშქრებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დისკრიმინაციის ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ, კერძოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაშიც. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას, ზუსტად იცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს, საერთაშორისო ასპარეზზე მისი ავტორიტეტი განუხრელად იზრდება, ნათქვამია ნოტაში.

სსრ კავშირის წარმომადგენლობა ნოტაში აღნიშნავს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს დისკრიმინაციული მიდგომა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი ხორციელდება ამის თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოების რიგმე გადაწყვეტილებების მიუღებლად. ესე იგი თვითნებურად. წარმომადგენლობას იმედი აქვს, ნათქვამია ნოტაში, რომ გენერალური მდივანი განახორციელებს ღონისძიებებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დოკუმენტების გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოცემის არანორმალური პრაქტიკის აღმოსაცხვრელად. სსრ კავშირის წარმომადგენლობა თხოვს ეს ნოტა გავცელონ როგორც უშიშროების საბჭოს ოფიციალური დოკუმენტი.

ინდოეთის მოსახლეობა

დელი, 17 მაისი. (საკდესი). ინდოეთის პრესის სააგენტო, რომელიც იმოწმებს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, იუწყება, რომ **ინდოეთის მოსახლეობამ მიმდინარე წლის 30 აპრილისათვის 503 მილიონს მიაღწია.** მარტო აპრილის მანძილზე ინდოეთის მოსახლეობას შეემატა 1.029.715 კაცი.

ჩეხოსლოვაკია მსოფლიო გამოფენაზე

მონრეალი, 17 მაისი. (საკდესი). გუშინ მსოფლიო გამოფენაზე „ექსპო-67“ იყო ჩეხოსლოვაკიის ეროვნული დღე. დღესასწაული გაიხსნა საზეიმო ცერემონიით ერთა მოედანზე. შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ ზეიმზე ჩამოსულ ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს ანტონინ ნოვოტნასა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის წევრებს. საზეიმო ცერემონია გახსნა „ექსპო-67“-ის გენერალურმა კომისარმა პ. დიუპიუიმ. მან მადლობა უძღვნა ჩეხოსლოვაკიის მთავრობასა და ხალხს დიდმნიშვნელოვანი წვლილისათვის გამოფენის წარმატებაში.

ანტონინ ნოვოტნიმ თავის სიტყვაში მადლობა გადაიხადა ჩეხოსლოვაკიის პავილიონისადმი ყურადღებისა და ინტერესისათვის. -

საზეიმო ცერემონიის დამთავრების შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს ჩეხოსლოვაკიის პავილიონი.

„ექსპო-67“-ის ფარადებზე ამ დღეს კონცერტები გამართეს ჩეხოსლოვაკიის ხელოვნების მუშაკებმა.

შეთანხმების ლენინსაციია

ბელგრადი, 16 მაისი. (საკდესი). საბერძნეთის მთავრობამ გადაწყვიტა გაუქმოს იუგოსლავია-საბერძნეთის 1959 წლის 18 ივნისის შეთანხმება ორი ქვეყნის სასაზღვრო ზონების კავშირ-ურთიერთობის შესახებ. ამას იუწყება იუგოსლავიის პრესა. გაზეთი „პოლიტიკა“ განმარტავს საბერძნეთის მთავრობის ამ ნაბიჯს და აღნიშნავს, რომ ორი იუგოსლავი მოქალაქის დაპატიმრება, სოლო ასლა სასაზღვრო ზონების კავშირ-ურთიერთობის შეთანხმების გაუქმებაც შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ გარკვეული კურსის — იმ პოლიტიკის მანიფესტაციად, რომელიც უშუალოდ მიმართულია ბერძენი და იუგოსლავი ხალხის კეთილმეზობლობისა და მეგობრობის წინააღმდეგ.

ნოტაში, რომელიც გადაეცა იუგოსლავიის ათენის საელჩოს, აღნიშნულია, რომ შეთანხმება მოქმედებას შეწყვეტს 1967 წლის 13 ნოემბრიდან.

რეაქცია მძვინვარებს საბერძნეთში. ავი შეთქმულების ორგანიზატორთა მოქმედებას წინააღუდგნენ ხალხის ფართო მასები. თვითეული ბერძენი, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და დემოკრატია, ხმას იმაღლებს უსამართლობის, დიქტატურის წინააღმდეგ. ამიტომაც არის ჩვეულებრივი ასეთი სურათი საბერძნეთის ქალაქების ქუჩებში. აი თქვენ ხედავთ საბერძნეთის დედაქალაქს — ათენის ერთ-ერთ ქუჩას. შეიარაღებული ჯარისკაცები ჩხრეკენ თვითეულ სახლს, გაფიცებებით დაეძებენ და აპატიმრებენ პროგრესულ მოღვაწეებს.

ფოტო იუპი, ახალი ამბების სააგენტოსი.

ომისსაწინააღმდეგო მიტინგი თეთრ სახლთან

ვაშინგტონი, 17 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაშედჩენკო გვატყობინებს: „არ წავალთ ვიეტნამში საომრად“, — გაიძახოდა გუშინ თეთრ სახლთან გამართული ომისსაწინააღმდეგო მიტინგის 1.200 მონაწილე.

საპროტესტო მიტინგი სამ საათს გაგრძელდა. ორატორებმა დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, რომელიც მასობრივად ყლეფს ვიეტნამელ ხალხს „ამერიკამ თავი შეირცხვინა იმით, რომ შეიჭრა ვიეტნამში და ხოცავს ადამიანებს“, — განაცხადა ჩიკაგოელმა ზანგმა, ხუთი შვილის მამამ ოსკარ ჯარვიმ.

მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლის აქტიურმა მონაწილემ მღვდელმა ჯეიმს ბიგელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზანგთა ბრძოლა თავიანთი უფლებებისათვის და ომისაწინააღმდეგო მოძრაობა მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან. ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელ ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლო კურსის შედეგად, თქვა მან, ისპობა ხალხი. ომის სიმძიმე და მსხვერპლი უწინარეს ყოვლისა ღარიბთა ხვედრია, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი ღარიბთა უმრავლესობას ზანგები შეადგენენ.

ჯეიმს ბიგელმა მოუწოდა ამერიკის ახალგაზრდობას: „უარი თვით ვიეტნამში საომრად წასვლაზე. უნდა ვიბრძოლოთ ომის წინააღმდეგ, შევუტანოთ, ვიმოქმედოთ. თუ ხალხი ვერ შეაჩერებს ომს, მაშინ ვინ შესძლებს ამას?“.

ამერიკელ ქალთა მოძრაობის ცნობილმა მოღვაწემ დაგმარ ჯილსონმა ბრალად დასდო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომ სიმარცლეკ კი ეუნებენ ამერიკელ ხალხს ვიეტნამის ომის მიზნებისა და ხასიათის შესახებ. „მაგრამ შეუძლებელია მთელი ხალხის მოტყუება, შეუძლებელია ყოველთვის ატყუებდე ხალხს, თქვა მან. „ჩვენ განზრახულია გვაქვს გავიმარჯვოთ ომისსაწინააღმდეგო მოძრაობაში“.

ზანგთა მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა სტოკლი კარმაიკლმა დაგმო ამერიკის დანაშაული ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. მან დამსწრეთ გააცნესა, რომ ასეთი დანაშაულისათვის წარსდგენენ ნაცისტური გერმანიის ხელმძღვანელები ნიურნბერგის ტრიბუნალის წინაშე. „არ გვსურს ვიყოთ მკვლელები. ვიეტნამელებს არასოდეს არაფერი არ დაუშავებიათ ჩვენთვის... ჩვენ უნდა შევაქნიათ მკვლელობისა და გენოციდისადმი წინააღმდეგობის მოძრაობა“, მოუწოდა კარმაიკლმა მიტინგის მონაწილეებს.

მდგომარეობა საბერძნეთში

პარიზი, 16 მაისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ათენიდან იუწყება, რომ, როგორც დღეს გამოირკვა აქ, საბერძნეთის სამხედრო ხელისუფლებამ პოსტებიდან მოხსნეს ჩრდილოეთ საბერძნეთის ოთხი ქალაქის მერები და მეტი წილი მუნიციპალური მრჩეველნი.

პოსტებიდან მოხსნილთა შორის არიან ვერიის, კატერინის, ლითოხორონის მერები, კილკისის მერის მოადგილე, აგრეთვე ამ ქალაქების მუნიციპალური საბჭოების 29 წევრი.

რეაქციის თარეში დომინგოს რესპუბლიკაში

ნიუ-იორკი, 17 მაისი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს სანტო-დომინგოელი კორესპონდენტი იუწყება, რომ დომინგოს რესპუბლიკაში მთავრობის ჯარებმა ცეცხლი დაუშინეს მუშებს დედაქალაქის მახლობლად შაქრის ლერწმის პლანტაციაში, რის შედეგადაც დაზიანდა სამი კაცი და დაჭრილია ორი. ასეთი პასუხი გასცეს მუშათა სამართლიან მოთხოვნებს გადაეხადათ მათთვის დაგვიანებული ხელფასი.

მთავრობის ჯარების დამსჯელ მოქმედებასთან ერთად მთელ დომინგოს რესპუბლიკაში ძლიერდება ტერორი, რომელიც გააჩაღეს უკიდურესმა რეაქციულმა ელემენტებმა პოლიციის მონაწილეობით. როგორც ამერიკის გაზეთი „ჩრდილეთ საიენს მონიტორი“ ამტკიცებს, ამ ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე დომინგოს რესპუბლიკაში ტერორისტებმა დახოცეს 20 და დაჭრეს 40 კაცი.

წყალდიდობა ერაყში

ბაღდადი, 16 მაისი. (საკდესი). 500 წელიწადში ერთხელ ხდება ხოლმე ისეთი წყალდიდობა, როგორიც ახლა დაატყდა თავს ერაყს, ნათქვამია ბიულეტენში მდინარე ეფფრატის ადიდების შესახებ, რომელიც დღეს გამოქვეყნა ერაყის ირიგაციის სამმართველომ.

მომდევნო სამი დღე კიდევ უფრო დაძაბული იქნება, ხაზგასმულია ბიულეტენში, რადგან წყალი უმაღლეს დონეს მიაღწევს.

ყოველდღიური გაზეთი „ალ-ბალადი“ წერს, რომ წყალდიდობამ შეიძლება ზარალი მიაყენოს სოფლის მეურნეობას. როგორც გაზეთი აღნიშნავს, 1954 წლის წყალდიდობით გამოწვეული ზარალი 150 მილიონ დინარს შეადგენდა, ახლანდელ წყალდიდობას კი შეიძლება უფრო დიდ ზარალი მოჰყვეს.

სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს...

ნიუ-იორკი, 17 მაისი. (საკდესი). „ტენესის შტატში მეოცე საუკუნე დადგა“ — ასე დაახასიათა პრესამ ტენესის შტატის სენატის მიერ მიღებული კანონი, რომელიც აუკრძალს უბადლებული „მაიმუნის კანონის“ მოქმედებას. ეს „მაიმუნის კანონი“ 42 წლის განმავლობაში კრძალავდა შტატში გავრცელებინათ დარვინის მოძღვრება ადამიანის წარმოშობის შესახებ.

ტენესის შტატის საკანონმდებლო კრების ზედა პალატამ ხმის უმრავლესობით გაიუქმა ეს კანონი, რომელიც მთელი მსოფლიოს დაცინვის საგანი იყო. პირველად კანონი გამოიყენეს ბიოლოგიის მასწავლებლის ჯონ სკოპსის წინააღმდეგ 1925 წელს დეიტონში, სადაც მიმდინარეობდა ცნობილი „მაიმუნი პროცესი“.

შარშან ამ კანონს ემხვერპლა საშუალო სკოლის მასწავლებელი სუსანა ეპერსონი, ხოლო სულ ცოტა ხნის წინათ სკოლიდან დითხოვეს ბიოლოგიის მასწავლებელი ჰარი სკოტი, რომელიც წინააღუდგა შუასაუკუნეებრივ ბნელეთს.

„მაიმუნის კანონი“ ახლა ძალაშია ამერიკის შეერთებული შტატების ორ სხვა შტატში — მისისიპისა და არკანზასის შტატებში.

ყოველი მხრიდან

დამთავრდა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ფანფანის ვიზიტი სსრ. კავშირში. ამასთან დაკავშირებით საზეიმოგარეთის პრესა დღეს აღნიშნავს, რომ წარმატებით დასრულდა მოლაპარაკება ორი ქვეყნის წარმომადგენლებს შორის. გაზეთები აშუქებენ და კომენტარს უძღვნიან საბჭოთა კავშირ-იტალიის კომუნიკეს.

ვარშავის გაზეთები აშუქებენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას, რომლის დღის წესრიგშია პარტიის პოლიტიკური მუშაობის აქტუალური ამოცანები, აგრეთვე ინფორმაცია ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც პოლონეთმა დადო ჩეხოსლოვაკიასთან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ბულგარეთთან, და კომუნისტური და მუშათა პარტიების კარლოვი ვარის კონფერენციის შესახებ.

მთელი ჩეხოსლოვაკიის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ დღეს, რომელიც გუშინ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. ნოვოტნის თანდასწრებით აღნიშნეს მონრეალის მსოფლიო გამოფენაზე.

სოფიის გაზეთები ბევრ მასალას უძღვნიან ბულგარული წიგნის კეთრეულს, რომელიც დღეს იწყება ბულგარეთის დედაქალაქში.

ამერიკისა და დასავლეთ ევროპის პრესა ფართოდ აშუქებს პრეზიდენტ დე გოლის პრეს-კონფერენციას. **„ნიუ-იორკ ტაიმსი“** აღნიშნავს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი ფაქტიურად წინააღუდგა „საერთო ბაზარში“ ინგლისის შესვლას. გაზეთი ყურადღებას უთმობს იმას, რომ დე გოლმა ამის მიზეზად დასახელა ინგლისის „განსაკუთრებული ურთიერთობა“ ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

იგივე თემაა ლონდონის გაზეთების ყურადღების ცენტრში. „ჟენერალი დე გოლი კვლავ წინააღმდეგია“ — ასეთი სათაურით გამოვიდა დღეს გაზეთი „ტაიმსი“. „დეილი ტელეგრაფი“ საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადებას „შერბილებულ ვეტოს“ უწოდებს.

„ტაიმსი“, „გარდიანი“, „დეილი მეილი“ და მთელი რიგი სხვა გაზეთები საredაქციო სტატიებში მოითხოვენ, რომ ინგლისმა განაგრძოს ცდები „საერთო ბაზარში“ მისაღებად. ეს გაზეთები ამტკიცებენ, რომ, მიუხედავად ამისა, ამ-ბავი არსებული დაბრკოლებებისა, მოლაპარაკება ბოლოს და ბოლოს წარმატებით დაგვირგვინდება.

დღეს პარიზში გაზეთები არ გამოსულა მშრომელთა საყოველთაო 24 საათის გაფიცვის გამო. გაფიცვა იწყობა საფრანგეთის უდიდეს პროფკავშირულ ცენტრებთან ერთად პროტესტის ნიშნად მთავრობის იმ მოთხოვნის წინააღმდეგ, რომ მიენიჭოს საგანგებო უფლებამოსილება ეკონომიურ და სოციალურ დარგებში.

საიგონიდან გადმოცემული ინფორმაციაში ბევრი გაზეთის კორესპონდენტები იუწყებიან, რომ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის რაზმები საერთნო ზარალს აყენებენ ამერიკელ აგრესორებს. მოპყავთ მონაცემები იმის შესახებ, რომ ამერიკელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა დანაკლისი სულ უფრო იზრდება.

როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმოხილველი ჯეიმს რესტონი აღნიშნავს, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში სულ უფრო აწუხებთ, რომ „მოსალოდნელია კონფლიქტის სიშიში გაფართოება“ ვიეტნამში.

საბერძნეთში შექმნილ ვითარებას კომენტარს უძღვნის პრესის ბევრი ორგანო. იუგოსლავიის გაზეთ „პოლიტიკის“ ათენელი კორესპონდენტი ხაზს უსვამს, რომ სამხედრო პუტჩს საბერძნეთში მოჰყვა „ყველაზე მასობრივი დაპატიმრებანი ევროპის ომისშემდგომ ისტორიაში, ამ ქვეყნის კანონის, კონსტიტუციისა და ყველაზე წმიდა ტრადიციების ფეხქვეშ გათელვა“.

აღნიშნავს რა, რომ ქენენეაში დამთავრდა მოლაპარაკება „ეენდის რაუნდის“ ფარგლებში ტარიფების შემცირების შესახებ, **„ნიუ-იორკ ტაიმსი“** აღნიშნავს, რომ პრეზიდენტმა ჯონსონმა „ფრთხილი“ პოზიცია დიკავა ტარიფების შემცირების შესახებ შეთანხმების სკითხში. როგორც გაზეთი ამბობს, ბევრი რამ არის დამოკიდებული შემდგომ პრაქტიკულ ღონისძიებებზე.

სტატიაში ამავე თემაზე ტოკიოს გაზეთი **„ასახი“** უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მაღალი საბაჟო ბარიერებია იაპონიის საქონლის წინააღმდეგ. გაზეთი იმედოვნებს, რომ, განავითარებს რა თავის კონკურენტუნარიანობას, იაპონია შეძლებს თავი გაართვას ამ პრობლემას. (საკდესი).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

მე-3 გვერდი, ხუთშაბათი, 18 მაისი, 1967 წ.

მეგობართა ცხოვრება

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ვარშავა. აქ გაიხსნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმი. პლენუმი განხილავს აქტუალურ ამოცანებს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის პოლიტიკურ მუშაობაში და მოისმენს ინფორმაციას იმ სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც სახალხო პოლონეთმა დადო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასთან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასთან, აგრეთვე ცნობას ევროპის უშიშროების საკითხებისადმი მიძღვნილი კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა კარლოვი ვარის კონფერენციის შედეგების შესახებ.

პლენუმი გახსნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვლადისლავ გომულკამ. დღის წესრიგის პირველ პუნქტზე მოხსენება გააკეთა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზენონ კლიშკომ.

ფართოვდება სამეცნიერო კავშირ-ურთიერთობა

ბერლინი. განუხრელად ფართოვდება სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამეცნიერო კავშირ-ურთიერთობა. ამის ახალი დადასტურებაა ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტისა და მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობის გეგმა, რომელსაც ხელი მოაწერეს აქ. გეგმა ითვალისწინებს მეცნიერთა და სტუდენტთა დელეგაციების გაცვლას, ერთობლივი მეცნიერული კვლევის მოწყობას და მეცნიერების სხვადასხვა დარგში — გეოლოგიაში, ქიმიაში, ისტორიაში, ფილოსოფიაში, სამართალსა და სხვა დარგებში ნაშრომების გამოცემას.

ახლა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკასა და [illegible] [illegible]ერის 40-ზე [illegible] [illegible] ინსტიტუტი [illegible] [illegible] [illegible]

ღვაწლმოსილი

პროფესორ ა. ი. გორგიძის დაბადების 60 წლისთავის გამო

სახელოვან მეცნიერ მათემატიკოსს, ამაგდარ პედაგოგს, პროფესორ ალექსი იასონის-ძე გორგიძეს დაბადების 60 და პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 35 წელი შეუსრულდა. ვინაც მასთან ერთად უმუშავია ან მისი სტუდენტი ყოფილა, იგი ამ ღირსშესანიშნავ თარიღს დიდი სიხარულით ხვდება.

ა. გორგიძე დაიბადა 1907 წელს ქ. ქუთაისში. მომავალი მეცნიერი ჯერ კიდევ ქუთაისის რეალურ სასწავლებელში სწავლის პერიოდში ამეტყველებდა მათემატიკური მეცნიერებისადმი მიდრეკილებას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის განყოფილების სტუდენტი ა. გორგიძე გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსების ა. რაზმაძის, გ. ნიკოლაძის, ნ. მუსხელიშვილის და ა. ხარაძის ხელმძღვანელობით გატაცებით ეუფლება მათემატიკურ მეცნიერებას.

ა. გორგიძემ წარმატებით განაგრძო სწავლა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. ასპირანტურაში სწავლის დროს და განსაკუთრებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში მუშაობის წლებში მან გამოაქვეყნა ოცდაათზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, რომლებიც შეეხება დრეკადობის მათემატიკური თეორიის ისეთ საკანძო საკითხებს, როგორიც არის შედგენილი ძელების გაჭიმვის, გრეხის, ღუნვის და მათ ურთიერთგავლენასთან დაკავშირებული ამოცანები.

სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად პროფესორი ა. გორგიძე იშვიათი აღმზრდელი და პედაგოგია. იგი რამდენიმე ათეული წელია დიდი სიყვარულითა და ერთგულებით ემსახურება ახალგაზრდა თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. აუდიტორიის კარი მან პირველად 1929 წელს შეაღო. იგი მიწვეულ იქნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრაზე, რომელსაც 1938 წლიდან სათავეში ჩაუდგა და მას შემდეგ უცვლელად ხელმძღვანელობს.

ღვაწლმოსილმა მეცნიერმა თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე არაერთი ახალგაზრდა თაობა აზიარა მათემატიკურ მეცნიერებას. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია რამდენიმე საკანდიდატო დისერტაცია. ვისაც კი მოუსმენია მისი შინაარსიანი, მომზიდველი, მეტად საინტერესოდ აგებული ლექცია, არასოდეს არ დაავიწყდება ეს ამაგდარი ადამიანი. ამჟამად ძნელად თუ მოიძებნება რესპუბლიკაში მშენებლობა ან საწარმო, სადაც არ მუშაობდნენ მისი აღზრდილები. გულისხმიერება, მომთხოვნელობა, სამართლიანობა და სტუდენტებისადმი მშობლიური დამოკიდებულება — აი რა არის ძირითადი ა. გორგიძის, როგორც პედაგოგის ყოველდღიურ საქმიანობაში, აი რა განაპირობებს მისადმი სიყვარულს სტუდენტების გულში.

პროფესორმა ა. გორგიძემ გამოაქვეყნა სამტომიანი სახელმძღვანელო „თეორიული მექანიკის კურსი“ უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისთვის. ეს სახელმძღვანელო სამაგიდო წიგნად იქცა არა მარტო სტუდენტი ახალგაზრდობისათვის, არამედ ტექნიკური დარგის ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკებისა და სხვა სპეციალისტებისათვის.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პროფესორ ა. გორგიძეს იცნობენ როგორც აქტიურ საზოგადოებრივ მუშაკს. ამიტომ მას ზმირად ირჩევენ ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის, პროფკომისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემადგენლობაში. იგი არის საქართველოს მათემატიკური საზოგადოების გამგეობის წევრი, თეორიული მექანიკის საქალაქო სემინარის თავმჯდომარის მოადგილე და მთელი რიგი სამეცნიერო საბჭოების წევრი.

წლების მანძილზე ა. გორგიძე მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, აქ მან თავი გამოიჩინა როგორც სამეცნიერო საქმიანობის კარგმა ორგანიზატორმა და ადმინისტრატორმა, გულისხმიერმა მეგობარმა და ამხანაგმა.

პროფესორ ა. გორგიძის სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დაფასეს — იგი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით, მიღებული აქვს სხვა ჯილდოებიც.

ასეთია ჩვენი ძვირფასი იუბილარი. საყვარული ადამიანი, კეთილი, გულისხმიერი, მომთხოვნი, იგი დღესაც ახალგაზრდული ენერგიით დაუზარელად ემსახურება საყვარელ საქმეს და ჩვენც გვინდა გულსურვილით მას მრავალი წლის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ახალ-ახალი წარმატებები როგორც მეცნიერებაში, ისე საზოგადოებრივ და პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

დ. ავაზაშვილი,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე, პროფესორი.
ა. შარანგია,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრის დოცენტი.

ფოტოპანორამა

ფორეულ ჩუკოტკაზე

თვალუწვდენელია ჩუკოტკის ტუნდრა თავისი ურიცხვი ირმის ჯოგებით, მძლავრი და უხვია მისი მთები, ნიჟიერი და შრომისმოყვარეა ჩუკოტკის ხალხი, მონადირეთა და მეირმეთა უძველესი მოდგმა.

ახალი ცხოვრებაა დღეს ჩუკოტკაზე. ბილიბინოს ოქროს საბადოს მახლობლად შენდება პირველი ატომური ელექტროსადგური იმიერპოლარეთში; მუშაობა დუღს და გადმოდუღს სანაპიროს ნავსადგურებში; სკოლებში, ტექნიკუმებში, ინსტიტუტებში სწავლობენ ჩუკჩების, ესკიმოსების, ევენების შვილები — მომავალი მშენებლები, მეირმეები, გეოლოგები, მასწავლებლები.

ზემო სურათზე აღბეჭდილია დღევანდელი ჩუკოტკის ცხოვრების ერთი ჩვეულებრივი მომენტი — თვითმფრინავ „ან-14“-დან ჩამოდის ... ტრაქტორი „ტ-104“ ... ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე ... .

მაღალმთიან იონოსფერულ სადგურში

ალმა-ატის მახლობლად, ზღვის დონიდან 1.300 მეტრ სიმაღლეზე დგას რამდენიმე ერთსართულიანი ლაბორატორიული შენობა, რომელთა თავზე ობობას ქსელივით გაბმულა ანტენების სადენები. ეს ალმა-ატის იონოსფერული სადგურია. აქ მეცნიერები თვალყურს ადევნებენ იონოსფეროს, გულმოდგინედ სწავლობენ მასში რადიოტალღების გავლას, „კრებენ“ სხვადასხვა მონაცემებს რადიოსიგნალების თვისებების შესახებ, რომლებსაც იონოსფერო ირეკლავს.

შუა სურათზე თქვენ ხედავთ იონოსფერული სადგურის ერთ-ერთი რადიოტელესკოპის მომზადებას მზის გამოსხივების სპექტრების გასაზომავად.

ავტომობილების ახალი მოდელები

ჩამენი ქვეყნის ავტომშენებლები წარმატებით ახორციელებენ სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებს და იბრძვიან იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავს. საიუბილეოდ მათ შექმნეს ავტომობილების ახალი მოდელები. საბჭოთა საავტომობილო ქარხნებში შეიქმნა გაზრდილი გაძლიერების საგვირთო ავტომანქანები, მრავალადგილიანი ავტობუსები, ავტომატარებლები, რომლებიც შეადგება ძარიანი ავტომანქანებისა და მისაბმელებისაგან, სპეციალიზებული მანქანები სხვადასხვა ტვირთის გადასაზიდავად და მსუბუქი ავტომანქანები. ქვემო სურათზე — ახალი ავტომანქანა — თვითსაცლელი „ბელაზ-548“. მისი ტვირთამწეობა 40 ტონას უდრის, საკუთარი წონა კი 27 ტონას. აქვს 520 ცხენის ძალის ძრავი და ავთარებს საათში 57 კილომეტრ სიჩქარეს, ბელორუსიის ავტოქარხანა წელს დაიწყებს ამ ავტომანქანების სერიულ გამოშვებას.

ფოტო კ. მუსტაფინის, ი. ბუდნევიჩის და ვ. სობოლევისა (საკდესი, ახალი ამბების საგენტო).

გასამრჯელოდ მეუსარე ტაში

გორი. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს მიეძღვნა გორის რაიონის მოსწავლეთა თვითმოქმედი კოლექტივების რაიონული დათვალიერება, რომელიც ზონების მიხედვით ოთხ დღეს მიმდინარეობდა. ამ დღეებში კი რაიონის კულტურის სახლის სცენაზე კვლავ გაისმა პატარების წვრილა ჩხები. სცენაზე მთელი ენერგიით დასრიალებდნენ თვალხტუნა გოგონები და ბიჭები. ესენი იყვნენ ზონებში გამარჯვებული სკოლების მოსწავლეები.

დასკვნითს საღამოში მონაწილეობა წილად ხვდათ ატენის სკოლა-ინტერნატს, კარალეთის, ხიდისთავის, მეჯვრისხევის, ვარიანის, შინდისის, ატენის, ფლავის საშუალო სკოლებს, ფხვენისისა და ახალდაბის რვაწლიანი სკოლების მოსწავლეთა თვითმოქმედ კოლექტივებს.

ზეპირი ჟურნალი

მცხეთა. (საკ. კორ.). ბევრი ხალხი დაესწრო ზეპირი ჟურნალის „ვ. ი. ლენინი კაცობრიობის გენია“ განხილვას და თემატურ საღამოს — „რა მსცა ოქტომბერმა ხალხს“, რომელიც წილკნის სასოფლო კლუბში გაიმართა.



წერილი ბელორუსიიდან

ძმამ ძმის საფლავი იპოვნა

ონი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ონის სასოფლო საბჭოში საინტერესო ბარათი მოვიდა. იგი ბელორუსიიდან იყო გამოგზავნილი.

აი რა ეწერა წერილში:

„ეს ბარათი გადაეცით პაპუნა სტეფანეს-ძე ლობჟანიძის შშობლებს ან ნათესავებს. პაპუნა ლობჟანიძე 1944 წლის დასაწყისში დაიღუპა სოფელ კაპლიჩის ფაშისტებისგან განთავისუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში.

ამ ბარათს ვგზავნით იმ სოფლის საშუალო სკოლის მოსწავლეები, რომლის დაცვისთვისაც გასწირა თავი თქვენმა პაპუნამ.

ძმათა საფლავი მოთავსებულია სოფლის ცენტრში. აქ დადგმულია ძეგლი, ირგვლივ გაშენებულია ბაღი. ყოველწლიურად მაისში ძეგლთან იკრიბებიან მოსწავლეები და სოფლის მშრომელები, რათა პატივი სცენ, მოიგონონ ბრძოლებში დაცემული გმირები.

პაპუნას სურათი თუ გაქვთ, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ. ყველაფერს, რასაც თქვენგან მივიღებთ, სკოლის საბრძოლო დიდების კუთხეში მოვათავსებთ.

ჩვენ არასოდეს არ დავიიწყებთ იმათ, ვინც გმირული სიკვდილით დაეცნენ იმისათვის, რომ ჩვენ ბედნიერი ბავშვობა გვქონოდა“.

ბარათს ხელს აწერენ გომელის ოლქის კალინკოვიჩის რაიონის სოფელ კაპლიჩის საშუალო სკოლის მოსწავლეები.

სამწუხაროდ, წერილმა ადრესატს ვეღარ მოუსწრო. გმირი წითელარმიელის მშობლები უკვე გარდაცვლილი არიან. მოსწავლეთა ბარათი პაპუნას ძმას ანთიმოზ ლობჟანიძეს ჩაბარდა. ანთიმოზმა წერილი რომ წაიკითხა, ბევრი ცრემლი დვარა. მან დღემდე არაფერი იცოდა ომში წასული ძმის შესახებ. ოჯახში პაპუნას უგზოუკვლოდ დაკარგულად თვლიდნენ.

— სურათსაც გაგზავნი. ძმის საფლავსაც ვინახულებ და მეგობრულ ურთიერთობასაც დავამყარებ კაპლიჩელ მოსწავლეებთან და სოფლის მცხოვრებლებთან, — თქვა ანთიმოზ ლობჟანიძემ.

ვ. ცირეკიძე.





მცხეთელები ფოთში

ფოთი. (საკ. კორ.). როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, ამას წინათ ტრაულერ „მცხეთის“ ეკიპაჟი ეწვია მცხეთელებს. მამაცი მეზღვაურები სამ დღეს იყვნენ სტუმრად მცხეთაში. დაათვალიერეს რაიონის ღირსშესანიშნობანი, იყვნენ მინდვრებში და ახალმშენებლობებზე.

სპასუხო ვიზიტით ფოთში იყვნენ მცხეთის რაიონის მშრომელთა დელეგაცია. დელეგაციაში შედიოდნენ პარტიის მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი გ. კავთიაშვილი, მცხეთის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე გ. მგელაძე, გაზეთ „მცხეთის“ რედაქტორი ს. თვალჭრელიძე და სხვები.

ფოთის რკინიგზის სადგურზე ძვირფას სტუმრებს შეხვდნენ საოკეანო თევზჭერის სამმართველოს მუშაკები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სტუმრებმა დაათვალიერეს ტრაულერი, გაეცნენ ეკიპაჟის საქმიანობას. იმგზავრეს ხომალდით, მონაწილეობა მიიღეს თევზჭერაში, რაც სტუმრების პატივსაცემად მოაწყო „მცხეთის“ ეკიპაჟმა.

ფოთში მცხეთელებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნობანი, იყვნენ დიდ სამრეწველო საწარმოებში და ახალმშენებლობებზე. საინტერესო შეხვედრა გიმართა ტრაულერის გემბანზე.

შეხვედრა გახსნა საოკეანო თევზჭერის სამმართველოს უფროსმა მ. ცქიტიშვილმა, რომელმაც მოუთხრო სტუმრებს ქართველ მებადურთა მიღწევებზე, საიუბილეო წლის ამოცანებზე. მამაც მეზღვაურებს მცხეთის რაიონის მშრომელთა სახელით მიესალმა პარტიის მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი გ. კავთიაშვილი, ქალაქის მშრომელთა სახელით — პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. გეგეშავა და ტრაულერ „მცხეთის“ კაპიტან-დირექტორის პირველი თანაშემწე ა. ანთიძე.

მცხეთელებმა ქართველი მეზღვაურები გულთბილად გააცილეს შორეულ ნაოსნობაში.

სურათებზე: მარცხნივ — მცხეთის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები ფოთში; ტრაულერი „მცხეთა“.

ფოტო ბ. გავრილენკოსი.

ფერილი ბელორუსიიდან

ბიბლიოთეკარს — ოქროს მედალი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სარაიონო ბიბლიოთეკის კოლექტივი, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი ბ. ახრახაძე ხელმძღვანელობს, ჩაბმულია საკავშირო საზოგადოებრივ დათვალიერებაში. იგი მონაწილეობს აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაში. საგამოფენო კომიტეტმა ნაყოფიერი და მრავალფეროვანი მუშაობისათვის ბიბლიოთეკის გამგე ბ. ახრახაძე ოქროს medლითა და ფულადი პრემიით დაჯილდოვა.

15 წლის თეორეტიკოსი

ნ. თ. თოიძე
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

მახარაძის რაიონის ცენტრალური საავადყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგემ, რაიონის მთავარმა ქირურგმა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა **ნესტორ თეოფილეს-ძე თოიძემ** სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ა. ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„ჯორჯლის სისხლძარღვთა გაუვალობა“ (კლინიკურ-ექსპერიმენტული გამოკვლევა).**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ნ. თ. თოიძისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

„მნათობი“ გვთავაზობს

ბამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანოს ჟურნალ „მნათობის“ მეოთხე ნომერი, რომელიც ბევრ საინტერესო მასალას გააცნობს თავის მკითხველებს.

მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში დაბეჭდილია სიმონ ჩიქოვანის გამოუქვეყნებელი ლექსები, ი. ნონეშვილის, ბ. კუზელავას ლექსები, ვ. ყიფიანის რომანი „წითელი ღრუბლები“ (დასაწყისი), ს. დემურხანაშვილის მოთხრობა, ბ. ხუხაშვილის სამმოქმედებიანი დრამა „ცხოვრება კაცისა“, ელ. მაღრაძის მხატვრულ-ისტორიული ნარკვევი, „ცხოვრება გრიგოლ ორბელიანისა“ (გაგრძელება), უშრუნი ედას ძველი ისლანდიური სიმღერები ღმერთებსა და გმირებზე (თარგმანი გერმანულიდან ვ. კალანდაძისა), სალეს ჰედაიათის მოთხრობა „აბუ ნასრის ტასტი“ (თარგმანი სპარსულიდან თ. კუმელავასი).

ვ. ი. ლენინის დაბადების 97-ე წლისთავს ეძღვნება ბ. ბრეშვაძის სტატია „სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია“, ხოლო ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს — ი. ციწცაძის წერილი „ოქტომბრის რევოლუცია და კოლონიური სისტემის კრახი“.

განყოფილებებში: კრიტიკა და ხელოვნებათმოძიებლობა; ფაქტები, მოგონებანი; წიგნების მიმოხილვა — დაბეჭდილია ბ. ციციშვილის, ნ. ურუშაძის, მ. კვესელავას, თ. ძურღლიანიძისა და შ. ბაღრაძის სტატიები, წერილები და მემუარები.

კარგი საჩუქარი

საგურამოელ ებ ის დიდი ხნის ფიქრსა და ოცნებას ფრთები შეესხა: გასულ წელს სოფელში გაეკანელმა სარწყავი არხის პირველმა მაგისტრალმა სახარული მოუტანა მშრომელებს. წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა მეორე მაგისტრალური სარწყავი არხი.

ბ. მარკოზაშვილი.

მეოცე საიუბილეო

თბილისის „შრომითი რეზერვების“ სტადიონზე გუშინ ნამდვილი ზეიმი იყო. სპორტიული ალმები, ლოზუნგები ამშვენებდნენ მის მიდამოებს. აქ თავი მოიყარეს პროფტექნიკური სასწავლებლების ახალგაზრდებმა, იმათ, ვინც დაიმახსოვრა მეოცე საიუბილეო სპარტაკიადის დასკვნითს შეხვედრებში მონაწილეობის უფლება.

იწყება საზეიმო ცერემონიალი. მოედანზე მწყობრი ნაბიჯით შემოდიან სპორტის სხვადასხვა სახეობათა კოლონები. მათ წინ მიუძღვის მედროშეთა დიდი ჯგუფი. მონაწილეთა რიცხვი ათასზე მეტია.

სპარტაკიადის ფინალისტებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მ. ჩიხლაძე. ალმი აღმართეს „შრომითი რეზერვების“ გამოჩენილმა სპორტსმენებმა.

სპარტაკიადა გახსნილად ცხადდება. ამის შემდეგ დაიწყო შეხვედრები კრივში, კლასიკურ ჭიდაობაში, სპორტულ ტანვარჯიშსა და ცურვაში. სპარტაკიადის პროგრამა სპორტის 18 სახეობას მოიცავს. შეჯიბრება კიდევ სამ დღეს გაგრძელდება.

ნ. ხიმშიაშვილი.

ქვეჯგუფები და შედეგები

„ა“ კლასის მეორე ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივებმა ჩემპიონატის მარათონის თითქმის მეოთხედი გაიარეს. უკანასკნელ ორ ტურში არაერთ მოულოდნელობას წავაწყდით, რომლებმაც გარკვეული გავლენა მოახდინა ლიდერთა მდგომარეობაზე.

ყველაზე მეტი სიურპრიზის მოწმენი ვიყავით **მესამე ქვეჯგუფებში,** სადაც ლიდერები იყვნენ ფრუნზეს „ალგა“, ყარაგანდის „ბასტიონი“ და ტაშკენტის ოლქის „პოლიტოტდელი“. უკანასკნელ ორ ტურში „პოლიტოტდელმა“ 4 ქულა დაკარგა, „ბასტიონმა“ — 3 ქულა. ახლა ამ ჯგუფში ლიდერია ფრუნზეს „ალგა“, რომელსაც 11 ქულა აქვს.

მეორე ჯგუფის უკანასკნელისწინა ტურიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ლიდერების ვინაცის „ლოკომოტივისა“ და ვოროხოვოს „ტრუდის“ მატჩი, რომელიც ლოკომოტიველთა გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 3:1. მაგრამ მორიგ შეხვედრაში „ტრუდმა“ აქტივში ორი ქულა ჩაიწერა და შეინარჩუნა პოზიცია ლიდერთა ჯგუფში. დღეისათვის მეორე ქვეჯგუფის ლიდერია ვინაცის „ლოკომოტივი“, რომელსაც 14 ქულა აქვს. თორმეტ-თორმეტი ქულა მოაგროვეს კიევის სკა-მ და ვორონეჟის „ტრუდმა“.

პირველ ჯგუფში, სადაც სხვებთან ერთად გამოდიან ჩვენი რესპუბლიკის გუნდები — თბილისის „ლოკომოტივი“, ბათუმის „დინამო“ და დებიუტანტი ტყიბულის „მეშახტე“, სატურნირო ცხრილის სათავეში დაკავებულ ადგილებზე ასრულებენ „ყუბანი“ — 9 თამაშიდან 13 ქულა. ტყიბულის „მეშახტე“ მეექვსე ადგილზეა (10 ქულა), თბილისის „ლოკომოტივი“ — მეათე ადგილზე (9 ქულა), ბათუმის „დინამო“ — მეთორმეტე ადგილზე (9 ქულა).

სპარტაკიადის ქრონიკა

მართალია, საქართველოს სპარტაკიადის გახსნამდე ჯერ კიდევ საკმაო დრო დარჩა, მაგრამ სპორტის ზოგიერთ სახეებში მიმდინარეობს პირველობისათვის ბრძოლა.

გუშინ მოკრივეები განაგრძობდნენ პაექრობას. წარმატება ხვდათ: **ვარდანიანს, რატიანს, მამამთავრიშვილს, აკოფოვს** და სხვებს. დღეს გაიმართება ნახევარფინალური შეხვედრები.

დაიწყო სპორტულ ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობა. სავალდებულო პროგრამის შემდეგ დაწინაურდა თბილისის გუნდი.

მეშვიდობის ველორბოლის მონაწილეებმა ექვსი ეტაპის გავლის შემდეგ ერთ დღეს შეისვენეს და 16 მაისს კვლავ ჩაებნენ ბრძოლაში. ლიდერები როგორც გუნდურ, ისე პირად ასპარეზობაში პოზიციებს არ თმობენ და ცისფერ მაისურებს ინარჩუნებენ.

მეშვიდე ეტაპი შჩეცინ-ბერლინი იყო. დისტანცია 157 კილომეტრს შეადგენდა. ბრძოლა შეუპოვარი გამოდგა, თითქმის მთელ ტრასაზე ველობრბოლები ჯგუფად მიდიოდნენ. ეტაპი ორი შუალეტრი ფინიშისაგან შედგებოდა. პირველი მოიგო იუგოსლავმა **პავლოვიჩმა,** მეორე — საბჭოთა სპორტსმენმა **საიდბუტინმა.**

მეშვიდე ეტაპის ფინიში მოეწყო ბერლინის ფრიდრიხ-ლუდვიგ იანის სახელობის სტადიონზე. წარმატება ხვდა პოლონელ ველობრბოლს **ზენონ ჩეხოვსკის,** რომელმაც აჩვენა დრო — 3 საათი, 37 წუთი და 20 წამი. მეორე და მესამე ადგილები თანმიმდევრულად დაიკავეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და რუმინეთის გუნდების წარმომადგენლებმა **ბ. ებერტმა** და **ი. კოსტამ.**

სამწუხაროდ, საბჭოთა ველობრბოლები ათეულში ვერ მოხვდნენ.

შვიდი ეტაპის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში ლიდერობას ინარჩუნებს საფრანგეთის ველობრბოლთა კოლექტივი, პირად ასპარეზობაში კვლავ წინ არის ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენი **ი. სმოლიკა.**

გუშინ შედგა მერვე ეტაპი — ბერლინი-ლაიპციგის მარშრუტით.



ნანდუ ქალთბურთელებს უხმობს

მონტევიდეო. (საკდესის კორ. ლ. მაქსიმენკო), უკანასკნელი მზადება მთავრდება „ცილინდრში“, როგორც უწოდებენ ახალ 12 თასადგილიან გადახურულ სტადიონს, სადაც გაიმართება კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშები.

სპორტის მოყვარულები ჩქარობენ შეიძინონ ბილეთები, რომლებიც საკმაოდ ძვირი — 1.000-2.500 პესო ღირს.

დიდი შეხლა-შემოხლა იყო, როცა მსოფლიოს პირველობის ორგანიზატორები ჩემპიონატის ემბლემის საკითხს იხილავდნენ. ბოლოს და ბოლოს შეთანხმდნენ, რომ შეჯიბრების სიმბოლო სამხრეთამერიკული სარაქლემის ნანდუს გამოსახულება ყოფილიყო.

ადგილობრივი გაზეთების უმრავლესობა საკმაოდ ოპტიმისტურად არის განწყობილი. ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ ურუგვაის გუნდი ჩემპიონატში უძლიერესი იქნება. ისე კი, უნდა ითქვას, რომ სულ სხვადასხვა პროგნოზებია. ზოგიერთი გაზეთი ამტკიცებს, რომ ბრაზილიელი კალათბურთელები შეინარჩუნებენ უძლიერესთა ტიტულს, ზოგი კი აცხადებს, რომ თასს, რომელსაც ნახევრად გაშლილი ლოტოსის ფორმა აქვს, სსრ კავშირის ან იუგოსლავიის გუნდები მოიპოვებენ.

ჯერჯერობით კი საბჭოთა კალათბურთელების მეტოქეები ბაიადლანკის ჯგუფიდან (არგენტინელი, იაპონელი, პერუელი სპორტსმენები) დროს უქმად არ კარგავენ. პირუს გუნდის მწვრთნელმა **ბობ ვინდელმა** განაცხადა, რომ ძმაყოფილია თავისი სპორტსმენებით. არგენტინის გუნდის საბოლოო შემადგენლობა ჯერ არ არის ცნობილი, მაგრამ ფიქრობენ, რომ სწორედ არგენტინელები იქნებიან ჩვენი სპორტსმენების მთავარი კონკურენტები.

ლიდერი არ შეცვლილა

ბაიმართა „ბ“ კლასის მეოთხე ზონის ფეხბურთელთა კოლექტივების მორიგი ტურის მატჩები.

რუსთაველში პაექრობა ჰქონდათ ადგილობრივ „მეტალურგსა“ და კრიმსკის „უროჟაის“. გაიმარჯვა „მეტალურგმა“ 1:0.

ბორში თამაშობდნენ „დილა“ და ნოვოროსიისკის „ცემენტი“. მასპინძლები დამარცხდნენ 0:2.

მატჩი ზუგდიდში „ენგურისა“ და ოქტემბერიანის „სევანის“ გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ — 0:0.

ჰაითურაში სოხუმის „დინამომ“ მოუგო „მაღაროელს“ 3:0.

ბურჯაანის „ალაზანი“ საკუთარ მოედანზე დამარცხდა პიატიგორსკის „მაშინოსტროიტელთან“ **მატჩში 2:3. დანარჩენი მატჩების შედეგია: „ბურია“ — „ლორი“ 1:2, „არეზი“ — „კოლხეთი“ 4:0, „ლერნაგორაცი“ — „შუქური“ 2:0.**

მეოცე საიუბილეო

ბ ა ი ბ ა ბ ი ს ა ნ ი ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა

ბ ა ბ ა ბ ი ს ა ნ ი ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა

...	...	...	...

... ბ ... ბ ... ბ